პოლიტიკური სისტემა და ეროვნული იდენტობა

კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიმოხილვა

აპრილი 2011

ГАГРА
ᲒᲐᲒᲠᲐ
David Turashvili
Flight from USSR
Flight from USSR
ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ
ᲒᲝᲙᲝᲚᲐᲫᲔ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲚᲘ
ᲒᲐᲠᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

ილია ჩხუტიშვილი
თბილისი, 2011წ.

პოლიტიკური სისტემა და ეროვნული იდენტობა

კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიმოხილვა

საქართველოში 2013 წლიდან ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. კონსტიტუციის შერეულ, ევროპულ მოდელზე მუშაობა წელიწადნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა და მის მომზადებაში მონაწილეობა ქართველმა კონსტიტუციონალისტებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, ექსპერტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიღეს. კონსტიტუციის სახელმწიფო კომისიამ ევროპული კონსტიტუციების შესწავლისა და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად მოამზადეს საბაზისო დოკუმენტი, რომელიც ბერლინის კონფერენციისა და ვენეციის კომისიის მიერ იქნა განხილული. წინამდებარე პუბლიკაცია ეხმაურება საქართველოში მიმდინარე ახალი კონსტიტუციის მიღების პროცესს და მიზნად ისახავს შედარებით განსხვავებული და უფრო ფუნდამენტური ხედვა შესთავაზოს მკითხველს ამ საკითხთან მიმართებაში. ავტორის აზრით ზემოთ აღნიშნული კონსტიტუცია, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, განწირულია დისფუნქციისთვის რადგან არ ითვალისწინებს კონსტიტუციონალიზმის იმ ასპექტებს, რომლებიც სცდება სამართლებრივ ჩარჩოებსა და საკუთარ თავში მოიცავს უფრო ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც ამ ნაშრომშია განხილული. ამასთან ერთად უნდა აღნიშნოს, რომ ნაშრომი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური სისტემის ან მოდელის აპოლოგეტიკას. ამ პუბლიკაციიდან გამომდინარე რომელიმე კონკრეტულ მოდელზე გაკეთებული აქცენტები მიზნად ისახავს თეორიულ კონცეფციაზე დაფუძნებული მაგალითიდან გამომდინარე სურათის უფრო თვალნათლივ დახატვას და არ წარმოადგენს რომელიმე მოდელის პოპულარიზაციის მცდელობას.

პუბლიკაციის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ავტორის პირად ბლოგზე www.iliablog2011.wordpress.com

საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია შეუთავსოს თავისი სიმბოლოებისადმი ერთგულება ამ სიმბოლოების თავისუფალი რევიზიის საკითხს, გარდაუვლად იღუპება - ანარქიის, ან ცხოვრებისეული ძალების ნელი ატროფიის შედეგად დახრჩობილი უაზრო მოჩვენებებით.

ალფრედ ნ. უაიტჰედი

ეროვნული ხასიათი, როგორც მოცემულობა

ჯერ კიდევ პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული ადამიანთა ჯგუფებმა, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, დაიწყეს ეთნიკური ნიშნით დაჯგუფება და ეთნიკურ წარმომავლობაზე დაფუძნებული სოციალური კომუნების ფორმირება. ამ ეთნიკურმა ჯგუფებმა ისტორიის მსვლელობასთან ერთად განახორციელეს საკუთარი ენის, ისტორიის, კულტურის და თვითრეალიზაციისათვის აუცილებელი ტერიტორიის ფორმირების პროცესი. ყოველივე ზემოაღნიშნული (ენა, ისტორია, კულტურა და ტერიტორია) უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ეთნიკური ჯგუფის მიზნებზე, მის სოციალურ სტრუქტურაზე, ჯგუფში ინდივიდების ფსიქოლოგიურ აღქმასა და, საბოლოოდ, მის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბებულმა კულტურულმა თუ რელიგიურმა დოგმებმა და პრინციპებმა თავისი კვალი დაამჩნია ქართველებსა და საქართველოს. რამაც, თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ამ სახელმწიფოს მართვის მექანიზმებსა და სტრუქტურაზე. ეთნიკური ჯგუფის ან ჯგუფების სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში იწყება ყველაზე რთული პროცესი, მოქალაქეები იწყებენ სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის შექმნას. მოქალაქეები "ირჩევენ" თუ ვის და როგორ უნდა გადასცენ ძალაუფლება და რა ფორმით უნდა განხორციელდეს მათზე ეს ძალაუფლება. არჩევანზე საუბრისას არ ვგულისხმობთ არჩევანს პირდაპირი და ერთჯერადი სახით, ვგულისხმობთ არჩევანს, როგორც ისტორიაში გაწელილ ხანგრძლივ პროცესს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს. ხშირად ეგრეთწოდებულ არჩევით პროცესს უდიდესი სოციალური კატაკლიზმები და სისხლისღვრები ახლდა თან, ამის აშკარა მაგალითია მრავალი განვითრებული დემოკრატიის მქონე დასავლური ქვეყანა, რომელთა მთელი ისტორიის განმავლობაში, პრაქტიკულად, არ ჩამცხრალა შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები და რევოლუციები. ყოველივე ეს მანიშნებელი იყო იმისა რომ პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია და თუ როგორ ჩამოყალიბდებოდა ესა თუ ის პოლიტიკური სისტემა, (იდეალურ შემთხვევაში ანუ გარე ფაქტორების გამოკლებით) წყვეტდა ის ეთნოჯგუფი ან ჯგუფები, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა პოლიტიკური სიტემის ჩამოყალიბების პროცესი.

საქართველო ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს რადგან მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მას, პრაქტიკულად, არ ეძლეოდა საშუალება, რომ „ემუშავა" საკუთარი პოლიტიკური აზრისა და პოლიტიკური კულტურის შემუშავებასა და განვითარებაზე. ქართველები როგორც მცირერიცხოვანი ერი, მეტწილად სხვა უფრო ძლიერი სახელმწიფოებისგან განიცდიდნენ პოლიტიკურ და სოციოკულტურულ ზეწოლას და ზეგავლენას, რაც საქართველოს როგორც სახელმწიფოს არ აძლევდა საშუალებას, „ეფიქრა" საკუთარი პოლიტიკური სისტემის ადაპტაცია-განვითარებაზე. ამის მცდელობები იყო საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში თამარ მეფისა და დავით აღმეშენებლის პერიოდში, თამარ მეფის დროს წარჩინებულთა წინადადება, შეექმნათ ე.წ. "კარავი", პარლამენტის მსგავსი ორგანო და დავით აღმაშენებლის შიდა პოლიტიკური რეფორმები. ამ რეფორმებს, თავის მხრივ, საფუძველი უნდა დაედოთ საქართველოში პოლიტიკური სიტემის დახვეწისთვის და შემდეგ უკვე პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისთვის. ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართული ეთნოსის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ფიზიკური გადარჩენისკენ და შიდა ოპტიმიზაციისთვის რესურსი, პრაქტიკულად, არ არსებობდა. ყოველივე ამას მე-20 საუკუნის დასაწყისში დაემატა ყველაზე რთული პოლიტიკურ კატაკლიზმა - საქართველოს გასაბჭოება, რომელმაც საერთოდ არია ქართველებში, როგორც ეთნიკურ ჯგუფში, ძალაუფლების დელეგირებისა და განხორციელების საკითხები. საბჭოურმა პოლიტიკურმა აზრმა შებოჭა ის ძირითადი ეროვნული

საყრდენები რომლებსაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქართველოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში. საუბარია ენაზე, კულტურაზე, რელიგიასა და ტერიტორიაზე, სწორედ ეს ძირითადი სოციო-პოლიტიკური მოცემულობები აქტიურ ზეგავლენას ახდენენ და განაპირობებენ სოციალურ ჯგუფში პოლიტიკური აზრის, სისტემისა და კულტურის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესს. მათი შეზღუდულობის პირობებში კი თემი ვერ ახორციელებს საკუთარ იდეურ თვითრეალიზაციას.

90-იან წლებში დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ დაიწყო ფიქრი პოლიტიკურ სისტემაზე, თუმცა, ქვეყანაში პოლიტიკური ტრადიციების უქონლობამ განაპირობა ის, რომ საქართველომ უხვად დაიწყო სხვა, კერძოდ, დასავლელი ეთნოსების მიერ შემუშავებული სისტემების იმპორტი, ნაჩქარევი ტემპებით, რათა შეევსო ის პოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც გაჩნდა ქვეყანაში საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მაგრამ გარდა იმისა, რომ იმპორტირებული პოლიტიკური კულტურა არ იყო საქართველოში შექმნილი, არსებობდა კიდევ ერთი უდიდესი პრობლემა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა შეავსო არა ერთი რომელიმე კონკრეტული ეთნოსის პოლიტიკურმა აზრმა, არამედ, რამდენიმე, სხვადასხვა პოლიტიკურმა სისტემამ, რამაც თავის მხრივ პრობლემები წარმოშვა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იმპორტირებული პოლიტიკური სისტემები არ იყო და ვერც იქნებოდა გათვლილი ქართულ რეალობაზე.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროცესი ისტორიასთან ერთად მიმდინარეობს, მაგრამ ისტორია გარდა პოლიტიკური აზროვნებისა, აყალიბებს კულტურულ და იდეოლოგიურ დოგმებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერწყმიან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საზრისებსა და ზეგავლენას ახდენენ ფართო მასებსა და ცალკეულ ინდივიდებზე. ნებისმიერ ერს, ისევე, როგორც ინდივიდს გააჩნია საკუთარი შიშები, ფეტიშები, სტერეოტიპები, და იდეალისტური თუ მატერიალისტური მიზნები და მისწრაფებები, რომელთაგანაც ზოგი მას ნაწილობრივ ისტორიულ-კულტურული გამოცდილებიდან გამოუმუშავდა, ზოგიც თანამედროვეობამ გადასცა. ყოველივე ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, აყალიბებს ეთნოჯგუფის ეროვნულ ხასიათსა და, ამ ხასიათიდან გამომდინარე, გარკვეულ მიდრეკილებას ამა თუ იმ პოლიტიკური კულტურისადმი.

ეროვნული ხასიათის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გამძაფრდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში საზოგადოებრივი მეცნიერების მესვეურებმა აქტიურად დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რა განასხვავებდა ერთ ერს მეორისაგან საერთო ფსიქოლოგიურ კონტექსტში. რა იყო ამა თუ იმ ქვეყნის სოციუმისთვის მეტნაკლებად დამახასიათებელი, რატომ იყვნენ ერთი ერები მიდრეკილი დემოკრატიისკენ, მეორენი კი სულაც არ ამჟღავნებდნენ მოთხოვნილებას ლიბერალურ დემოკრატიული წესწყობილებისადმი. ზოგიერთი სახელმწიფოს საზოგადოება უფრო მეტად აგრესიული იყო საერთაშორისო არენაზე, ზოგი კი ნაკლებ ტოლერანტობას იჩენდა ქვეყნის შიგნით არსებული სხვადასხვა უმცირესობების მიმართ. სახელმწიფოებსაც ინდივიდების მსგავსად ახასიათებთ გარკვეული ნიშან-თვისებები. ნიშან-თვისებებზე საუბრისას არ ვგულისხმობთ პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისის პარლამენტი ორპალატიანია, აშშ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, გერმანია - საპარლამენტო, ესპანეთში კი კონსტიტუციურ მონარქიაა. ეს ნიშნები ყველა ქვეყნის პოლიტიკური სიტემისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქვეყნების დახასიათება მათი პოლიტიკური ნიშნის მიხედვით (თუმცა ამ საკითხსაც შევეხებით). ჩვენი ძირითადი ამოცანაა, გავიაზროთ ამ პოლიტიკური სისტემების უნიკალურობა. რამდენად არის ეს პოლიტიკური სისტემა დაკავშირებული

ეროვნულ ხასიათთან და რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნულ ხასიათთან/იდენტობასთან ადეკვატური პოლიტიკური სისტემის არსებობა.

ეროვნულ იდენტობასთან ადეკვატურ პოლიტიკურ სისტემაზე ფიქრისას, უპირველეს ყოვლისა ვაწყდებით საკმაოდ რთულ შეკითხვას - რა არის საერთო ეროვნული ხასიათი და თუ იგი არსებობს, როგორ უნდა მოხდეს მისი შეფასება, გაზომვა ან დახასიათება ვალიდური სამეცნიერო მეთოდოლოგიით. იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება ამ უაღრესად რთული საკითხის მეცნიერული გადაჭრა, დგება კიდევ უფრო რთული ამოცანა - კონკრეტულ ეროვნულ ხასიათს უნდა „მოვარგოთ" კონკრეტული პოლიტიკური სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, მაქსიმალურად გამოხატავს ეროვნულ იდენტობას, მეორე მხრივ, არის პოლიტიკურად სტაბილური და ითვალიწინებს კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია და ხშირად იბადება კითხვა „ეროვნული ხასიათი აყალიბებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს თუ პირიქით"[1], პოლიტიკური ინსტიტუტები აყალიბებენ ეროვნულ ხასიათს? ერთი სიტყვით, საკითხი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ საკმაოდ მრავლისმომცველი და არასტრუქტურირებულია - არსებული ფაქტორების სიმრავლისა და აბსტრაქტულობიდან გამომდინარე.

ეროვნული ხასითი და იდენტობა თავისი შინაარსით ფართო და განზოგადოებული ცნებაა. აქედან გამომდინარე, ცნების განმარტებაც საკმაოდ ფართოა. ბევრი მეცნიერი და მოაზროვნე ეროვნულ ხასიათს მოიხსენიებს როგორც უნიკალურ ეროვნულ სულსა და გენიას. საკმაო მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებითაც, რომ ეროვნული ხასიათი ბიოლოგიური და გენეტიკური ფაქტორებით არის განპირობებული. ერთი მხრივ, ეროვნული ხასიათის კონცეფცია ბევრჯერ დამდგარა ეჭვის ქვეშ, თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ არსებობს გარკვეული ნიშნები და უნივერსალიები, რომლებიც ყველა ერის, ეთნიკური ჯგუფისა თუ ცივილიზაციის ქცევისთვის არის დამახასიათებელი. ანთროპოლოგების აზრით ე.წ. ჯგუფური თუ კოლექტიური ხასიათი ან სული კარგად აისახება ეთნოსის თუ ერის ინტელექტუალურ პროდუქტში - ლიტერატურაში, კულტურაში, ხუროთმოძღვრებაში და სახალხო თქმულებებში. ცივილიზაციები და კულტურები უდავოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ქართული მწერლობა და კულტურა უდავოდ განსხვავდება იუდაური ან ევროპული მწერლობისა და კულტურისაგან. მაგრამ რას ნიშნავს ეს განსხვავებები? ეს, უბრალოდ, ისტორიაში ჩარჩენილი ადამიანის ეფემერული გრძნობის პროდუქტია, რომელიც დროთა განმავლობაში უკვალოდ ქრება, თუ ის სულიერი მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ამ ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა, უფრო მუდმივია და თან ახლავს ერს მთელი მისი არსებობის განმავლობაში?

უპირველეს ყოვლისა უნდა ვაღიაროთ რომ, ერთი მხრივ, ადამიანებს შორის მსოფლიო დონეზე უფრო მეტი მსგავსებაა ვიდრე განსხვავება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს განსხვავებები იმდენად თვალშისაცემია, რომ ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს, ეთნოლოგებსა და სხვა დარგების მოაზროვნეებს საგონებელში აგდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული ხასიათი თითქმის შეუმჩნეველია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავად არიან ნაციონალური იდენტობის ნაწილი. „ეროვნული ხასიათი ბევრად უფრო თვალსაჩინოა უცხო დამკვირვებლისთვის ვიდრე ადგილობრივი ჯგუფის ნებისმიერი წევრისთვის".[2] უცხო ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლები ხშირად უფრო მძაფრად აღიქვამენ ნაციონალურ იდენტობასა და ხასიათს, ადგილობრივი მოსახლეობისგან

[1] James C. Charlesworth, National Character in the Perspective of Political Science, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 23-29, [გვ.: 25].
[2] Don Martindale, The Sociology of National Character, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 30-35, [გვ.: 31].

განსხვავებით. კონტრასტი ორ გარემოს შორის იმდენად დიდი და თვასლაჩინოა, რომ მყისიერად აისახება ნებისმიერი „გარეშე“[3] ადამიანის ცნობიერებაში.

მაგალითად ჰაინრიხ ჰაინემ ერთხელ აღნიშნა, რომ „ფრანგს“ უყვარს თავისუფლება, როგორც საყვარელი, რომელთანაც დროდადრო სასოწარკვეთით ერთგულია, დროდადრო კი ჩხუბობს. ინგლისელს უყვარს თავისუფლება როგორც ერთგული და სანდო ცოლი, რომელთანაც არ ჰქონია აღფრთოვანებული ცხოვრება, მაგრამ აქვს სანდო და საქმიანი ურთიერთობა. გერმანელს უყვარს თავისუფლება როგორც ბებერი ბებია, რომელსაც იგი თბილად მოათავსებს ბუხართან, იქვე მიივიწყებს და ყურადღებას აღარ მიაქცევს“.[4] ჰაინეს სიტყვები ალბათ ევროპაში მოგზაური ტურისტის სიტყვებს უფრო ჰგავს, ვიდრე სამეცნიერო კვლევის შედეგს, თუმცა, დამეთანხმებით, რომ აქაც გამოსჭვივის რაღაც აბსტრაქტული რაციონალიზმი. ეს სიტყვები ძალზე წააგავს თანამდროვე დისკუსიებს ქართული ეროვნული ხასიათის შესახებ, როდესაც მეგობრები იკრიბებიან და პოლიტიკაზე საუბრისას მიდიან დასკვნამდე, რომ ქართველები თავისუფლების მოყვარული, მამაცი და დიდი ისტორიის ერი ვართ, მართალია, ცოტა დესტრუქციულები, ცოტა ზარმაცები, მაგრამ უდავოდ ნიჭიერები და მაინც ყველაზე კარგები და განსაკუთრებულები. შეიძლება ჰაინმა, ეროვნულ ხასიათთან დაკავშირებით, ზემოთ მოყვანილი გამონათქვამით მართლაც ძალზე არამეცნიერული ტიპის (ალბათ უფრო პოეტური) და ამასთან ერთად საკმაოდ სუმბურული აღწერა მოგვაწოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტიპის განმარტებები საკმაოდ ბევრია ისტორიაში, ამასთან ერთად მრავალი მათგანი ცნობილ პიროვნებებს ეკუთვნით, ისინი საკმაოდ მაღალ დონეზე განიხილებოდა და საფუძვლად ედებოდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

1946 წლის 22 თებერვალს ჯორჯ კენანი, რომელიც ამ დროისათვის აშშ-ს წარმომადგენლობის თავჯდომარის მოადგილე გახლდათ მოსკოვში (1944-1946 წწ.), აგზავნის დეპეშას ვაშინგტონში. ამ დეპეშას მოგვიანებით ეწოდა „Long telegram“ (სავარაუდოდ მისი მოცულობის გამო). ამ საკმაოდ ვრცელ წერილში კენანი თვალნათლივ აყალიბებს საბჭოთა რუსეთის, როგორც ფენომენალური (უარყოფითი გაგებით) პოლიტიკური სუბიექტის მისწრაფებებს საერთაშორისო არენაზე, აღწერს რუსეთის ეროვნულ ხასიათსა და აყალიბებს ამ პოლიტიკურ სუბიექტთან ურთიერთობის საკუთარ კონცეფციას. მოსკოვში მოღვაწეობის დასრულების შემდეგ კენანი აქტიურად მონაწილეობს აშშ-ის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებაში, იგი მიიჩნევა მაშინდელი აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ერთ-ერთ ავტორად და ე.წ. „მარშალის გეგმის“ სულისჩამდგმელად. კენანის ფიგურა ჩვენთვის საინტერესო იმიტომ გახდა, რომ ამ პოლიტიკურ მოღვაწეს საკუთარ 1946 წლის გზავნილში აღწერილი აქვს რუსეთის პოლიტიკური მისწრაფებები საერთაშორისო არენაზე, რომლებიც, მისი აზრით, დიდწილად რუსეთის ეროვნული ხასიათიადან გამომდინარეობს. კენანის აზრით:

> „კრემლის ნევროსტენული დამოკიდებულებას საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ საფუძვლად უდევს რუსეთის ინსტინქტური, დაუცველობის გრძნობა. დასაწყისში ეს იყო დაუცველობის გრძნობა იმ მიწათმოქმედი ხალხისა, რომლებიც ფართო ველებზე ცხოვრობდნენ, მძვინვარე მომთაბარე ტომების გვერდიგვერდ [...] მხოლოდ ამ მიწაზე, რომელმაც არასდროს იცოდა, თუ რა იყო კეთილგანწყობილი მეზობელი ან შესაბამასი ეკვილიბრიუმი სხვა პოლიტიკურ ძალებთან, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე შეეძლო აყვავებულიყო დოქტრინა, რომელიც განიხილავდა ეკონომიკურ კონფლიქტს არა გადაწყვეტად მშვიდობიან ფორმებში [...]. რუსეთში

[3] აქ იგულისხმება სხვა კულტურაში ჩამოყალიბებული პიროვნება.

[4] James C. Charlesworth, National Character in the Perspective of Political Science, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 23-29, [გვ.: 24].

ბოლშევიკური რეჟიმის დაფუძნების შემდეგ, მარქსისტულმა დოგმამ კიდევ უფრო მკაცრი და შეუწყნარებელი ფორმა მიიღო, ... და გადაიქცა შესანიშნავ მანქანად დაუცველობის გრძნობის გასაღვივებლად".[5]

აქ კენანი საუბრობს დაუცველობის გრძნობაზე (ალბათ უფრო სინდრომზე), რომელიც მშვიდობიან რუს მოსახლეობას განუვითარდა ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოებებიდან გამომდინარე. მრავალ ფაქტორთა შორის, სოციალური გაჭირვება, იყო ის ფაქტორი რამაც განაპირობა კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვება რუსეთში. ბოლშევიკები, თავის მხრივ, კარგად იყენებდნენ საკუთარ ქვეყანაში არსებულ დაუცველობის სინდრომსა და გარე სამყაროს მუდმივად ხატავდნენ როგორც საშიშროებას, რომელსაც უნდა ებრძოლო. ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ და კომუნისტური პარტიული ელიტის შიშმა პროგრესული დასავლური სამყაროს წინაშე, პრაქტიკულად, მოხაზა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის კონტურები უახლოესი 40 წლის განმავლობაში. დღესდღეობით რუსეთს ძლიერ უჭირს პროგრესულ სამყაროსთან ურთიერთობა, თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ელიტის რიტორიკა, საერთაშორისო არენაზე, ქარის წისქვილებთან ბრძოლას უფრო ჰგავს ვიდრე ჩამოყალიბებული პოლიტიკური სუბიექტის აქტივობას. ალბათ აქაც, კენანის მსგავსად, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსი პოლიტიკოსების აქცენტები საკუთარი ქვეყნის შიგნით არსებულ მოსახლეობაზე ზეგავლენისთვის კეთდება. ერთი სიტყვით, რუსეთის ეროვნულ ხასიათში მტკიცედ არის გამჯდარი შიში გარე სამყაროს წინაშე, რამაც, თავის მხრივ, საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდენა რუსეთის პოლიტიკურ სისტემაზე, მისი პოლიტიკური ელიტის რწმენასა და ანტაგონიზმზე გარე (არასაბჭოთა) სამყაროს მიმართ. ყოველ შემთხვევაში ასეთია კენანისეული კონცეფცია რუსეთის ეროვნული იდენტობისა და ამ იდენტობიდან გამომდინარე ხასიათის შესახებ. კენანმა ჰაინთან შედარებით უფრო დახვეწილი კონცეფცია ჩამოაყალიბა, რა თქმა უნდა, მისი ჰიპოთეზაც შორს არის სრულყოფილებისაგან (თუ კი საერთოდ, ეროვნულ ხასიათთან დაკავშირებული რომელიმე კონცეფცია შეიძლება იყოს სრულყოფილი), მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მასშიც იყო რაციონალიზმის საკმაოდ მოზრდილი მარცვალი. რაც შეეხება ეროვნული ხასიათის, როგორც სოციალური მოვლენის განმარტებას, როგორ შეიძლება ფორმულირდეს ამ, შეიძლება ითქვას, ფენომენის საერთო ზოგადი დეფინიცია? უდავოა, რომ ამ სიტყვას უმრავი განმარტება აქვს, მაგრამ საერთო ჯამში, ხასიათი გახლავთ გარკვეული ნიშან-თვისებების ერთობლიობა.[6] ამ ნიშან-თვისებების ერთობლიობა ზეგავლენას ახდენენ ინდივიდის ქცევასა და მოქმედებებზე კონკრეტულ გარემოებაში და განასხვავებს კონკრეტულ ადამიანს გარშემომყოფთაგან. ვფიქრობ, პიროვნული ხასიათის ამბავი ზოგადად ყველასთვის მეტნაკლებად გასაგებია. მაგრამ ეროვნული ხასიათის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ინდივიდუალურ არამედ კოლექტიურ ცნობიერებასთან. თავად სიტყვა „ხასიათი" საკმაოდ მრავლისმთქმელია, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მისი კიდევ უფრო განზოგადება გვიწევს, რადგან გადაგვყავს საერთო კოლექტიურ კონტექსტში. ერთი მხრივ, ხასიათი როგორც მოვლენა არის ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი, ერი კი, მარტივად რომ ვთქვათ, ინდივიდთა ერთობლიობას, მრავალრიცხოვანი კოლექტივისა და სოციუმის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეროვნული ხასიათის, ფსიქიკისა თუ იდენტობის (ეს სიტყვები მთელი ამ ნაშრომის განმავლობაში ერთი და იმავე მნიშვნელობით იქნება გამოყენებული) საკითხი ექცევა მრავალი მომიჯნავე მეცნიერების ინტერესის სფეროში. ისეთების, როგორებიცაა ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, სოციოლოგია. ამასთან ერთად ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალოდ სოციალურ ჯგუფთან, არამედ სპეციფიკური - ეთნიკური ნიშნით გამოყოფილ სოციალურ ჯგუფთან კერძოდ - ერთან. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ მეცნიერებებს ემატება ნაციონალიზმის საკითხი, ეთნოლოგია და ეთნოფსიქოლოგია. ერთი სიტყვით, საკითხი იმდენად

[5] George F. Kennan (1946) Long Telegram, *ვებ წყარო:* http://www.gwu.edu/~nsarchiv/coldwar/documents/episode-1/kennan.htm/

[6] Encyclopaedia Britannica, *ვებ წყარო:* http://www.britannica.com/eb/article-9022497/character

ფართოა, რომ თითქმის ყველა საზოგადოებრივი მეცნიერება მეტნაკლებად ეხება მას. რა თქმა უნდა, თავად ერშიც შეიძლება შედიოდნენ სხვა ეთნიკური უმცირესობებიც თუმცა, ამ უმცირესობების ფსიქოლოგიური თუ ანთროპოლოგიური განხილვა და შემდგომი მათი, როგორც უმცირესობის, ზეგავლენის განხილვა საერთო ეროვნულ იდენტობაზე კიდევ ცალკე საკითხია და შორს წაგვიყვანს. აქ ჩვენ შედარებით ზოგადი განმარტება გვაინტერესებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე მარტივ მაგალითს და დავინახავთ, თუ როგორ მოახდინეს ეთნიკურმა უმცირესობებმა ზეგავლენა ქართულ თუ უცხოურ სამართლებრივ და პოლიტიკურ სისტემებზე.

ამ ეტაპზე შეგვიძლია შევჯერდეთ, რომ ერთ მხარეს ჩვენ გვაქვს ხასიათი, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, მეორე მხარეს კი - ეთნიკური ნიშნით შემდგარი მრავალრიცხოვანი კოლექტივი. ამ ორი მოცემულობის ურთიეთქმედების შედეგად კი თავს იჩენს ძალიან საინტერესო მოვლენა, კერძოდ: „როცა სიმრავლეები მოქმედებენ ნაციონალურ კომუნებში, ისინი ავითარებენ საერთო წარმოდგენებს, მიისწრაფვიან კონსოლიდირებული მიზნებისაკენ და ზომავენ წინააღმდეგობას საერთო მიზნებთან მიმართებაში - მაშასადამე აყალიბებენ ეროვნულ ხასიათს“.[7] მაშასადამე ეროვნული ხასიათი ყალიბდება საერთო კოლექტიური აქტივობის შედეგად მაგრამ ალბათ არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ეროვნული ხასიათის ფორმირებაზე. მონტესკიე კი, თავის მხრივ, მიიჩნევდა რომ, „კაცობრიობა ექცევა მრავალ ფაქტორთა ზეგავლენის ქვეშ: კლიმატი, რელიგია, კანონები, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მაქსიმები, პრეცედენტები, მორალი და ადათ-წესები; ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ყალიბდება საერთო ეროვნული სული“.[8] მისი აზრით, ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი ისტორიასა და კულტურაში იმალება. კულტურა, თავის მხრივ, გარკვეული ნორმების ერთობლიობაა, ნორმის დასამკვიდრებლად კი აუცილებელია - დრო და ამა თუ იმ ნორმის ცხოვრებაში გატარების, ანუ მოქმედების ხანგრძლივი პრაქტიკა. აქედან გამომდინარე კულტურა, როგორც გარემო და ისტორია, როგორც დროის დენადობაში არსებული ფენომენი, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს აქტივობას, ქმნისიმ უნიკალურ სიმბიოზს, რომელიც, თავის მხრივ, არის კიდეც ეროვნული იდენტობის ფორმირების მამოძრავებელი ფენომენი, იდენტობა კი ზეგავლენას ახდენს რომელიმე კონკრეტულ ქმედებაზე, რაც, თავის მხრივ, ხასიათის გამოვლინებად აღიქმება. საუკუნეების განმავლობაში აკუმულირებული ისტორიული გამოცდილება და კულტურული ნორმები, ქმნიან ერთგვარ ფსიქოემოციონალურ გარემოს, რომელიც განსაზღვრავს ერის ინდივიდუალიზმს. ყველა რასის ადამიანებს, მიუხედავად მათი სოციალური გარემოსი, აქვთ ურყევი მარაგი იდეების, ტრადიციების, გრძნობების, აზროვნების მიმართულებების, რომელიც მათი წინაპრების ქვეცნობიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს.[9] ძნელია შეედავო იმ აზრს, რომ ხშირ შემთხვევაში, ჩვენი წინაპრები და მათი მოძღვრებები ჩვენზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ. ზოგჯერ ჩვენ გააზრებულად ვაფასებთ და ვემორჩილებით მათ მოძღვრებებს, რადგან სწორად და მისაღებად მიგვაჩნია, ზოგჯერ კი წინაპრების მიერ დანატოვარი სოციალური ნორმები მძიმე ტვირთად გვაწევს და ვცდილობთ მათგან გათავისუფლებას, თუმცა როგორიც უნდა იყოს გარემოება, ორივე ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ჩვენ უდავოდ მათი ზეგავლენის ქვეშ ვექცევით. კულტურასა და ისტორიას გააჩნია ერთი ფენომენალური თვისება, ჩვენ რატომღაც ქვეცნობიერ დონეზე გვგონია, რომ ისინი მხოლოდ წარსულში არსებობენ, თუმცა გვავიწყდება, რომ ისტორია და მისი პირმშო - კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ წარსულის შვილები არიან, დღევანდელ მოცემულობაში ფუნქციონირებენ და არანაკლებ ზეგავლენას ახდენენ (თუ უფრო მეტს არა), ჩვენს ქცევასა და არსებობაზე, ვიდრე ნებისმიერი, თანამედროვე სოციალური

[7] Don Martindale, The Sociology of National Character, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 30-35, [გვ.: 30].
[8] Baron de Montesquieu (1949) The Spirit of the Laws, *trans.* Thomas Nugent, New York: Hafner, pp. 293-294.
[9] Gustave le Bon (1898) The psychology of Peoples, New York, The Macmillan Co., p. xx

ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე სოციალური მეცნიერებების განვითარებასთან ერთად დადგა ეროვნული ხასიათის, როგორც სოციო-პოლიტიკური მოვლენის შესწავლის საკითხი, იმდენად, რამდენადაც ეს ფენომენი თანამედროვეობაში აქტიურ ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალური მოქალაქეებისა და სოციალური ჯგუფების ქცევასა და მათ აქტივობაზე სოციო-პოლიტიკურ სივრცეში.

ინტერესი ეროვნული ხასიათის მიმართ დიდწილად განაპირობა თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებამ. დემოკრატიული ხელისუფლებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანგარიშვალდებულნი არიან ხალხის წინაშე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პრინციპების დამკვიდრებამ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებში, განაპირობა ხელისუფლების ამომრჩევლებთან „დაახლოება". ძალაუფლების დისტანცია ხელისუფლებასა და მის ხალხს შორის საგრძნობლად შემცირდა; წინა ისტორიულ ხანებთან შედარებით ხელისუფლება პირდაპირ დამოკიდებული გახდა მისივე მართულ სოციუმზე, ამ დამოკიდებულებას განაპირობებს მოქალაქეების საარჩევნო უფლება და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტიტუტები. ხელისუფლება იძულებულია, მეტნაკლებად მაინც, გაითვალისწინოს საზოგადოების მოთხოვნები, მიიღოს სასურველი კანონები, განახორციელოს ადეკვატური სახელმწიფო პროგრამები და რეფორმები - თუ უნდა რომ მომავალში ხელახლა იქნას არჩეული. ეს შეიძლება, ერთი შეხედვით, არც იყოს იმდენად თვალსაჩინო, რადგან ხელისუფლების აქტივობა საკუთარ თავში გულისხმობს ბევრ ასპექტს, მათ შორის ეკონომიკურს, საერთაშორისოს და ა.შ., მაგრამ საზოგადოება გარდა წმინდა სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნებისა, ხელისუფლებას უწესებს გარკვეულ მორალურ-იდეოლოგიურ და ეთიკურ მოთხოვნებს, ამ ტიპის საზოგადოებრივ მოთხოვნებში უფრო აშკარად გამოიხატება ეროვნული ხასიათი და იდენტობა, რადგან ნებისმიერი ეთიკური მოთხოვნა, თავის მხრივ, გამომდინარეობს იდენტობიდან, იგი გარკვეულწილად შეესაბამება და გამოხატავს ამ უკანასკნელს. XXI საუკუნის დადგომასთან ერთად, თანამედროვე მსოფლიოს უდიდესმა ნაწილმა მეტნაკლებად გაიაზრა დემოკრატიული მმართველობის აუცილებლობა, ჩრდილოეთ აფრიკასა და სხვა არაბულ ქვეყნებში ამჟამად მიმდინარე პროცესები მხოლოდ დასაწყისია და სამომავლოდ დემოკრატიული აქტივობების და ინსტიტუტების კიდევ უფრო გაძლიერებას უნდა ველოდეთ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო გაიზრდება ხელისუფლებების ანგარიშვალდებულება საზოგადოებასთან და ერებს როგორც ეთნიკურ კომუნებს უფრო მეტი საშუალება მიეცემათ, გამოხატონ საკუთარი იდენტობა ხელისუფლებისთვის სხვადასხვა მოთხოვნების წაყენების გზით. ხელისუფლება კი, თავის მხრივ, იძულებული იქნება, მეტნაკლებად დაეთანხმოს და გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები. როგორც ლებონი აღნიშნავდა: „ერის ხასიათი, და არა მისი გონება, განსაზღვრავს მის განვითარებას ისტორიაში. ხასიათის ზეგავლენა ყოველთვის მსუბუქად გამოსჭვივის, უაზრო შემთხვევითობის კაპრიზებსა და ყოვლისშემძლე ბედისწერაში, რომელიც სხვადასხვა მოძღვრებებით მართავს და ხელმძღვანელობს ადამიანების ქცევას. ხასიათის ზეგავლენა ყველაზე ძლევამოსილი ფაქტორია ერების ცხოვრებაში".[10] ამ რემარკით ლებონმა ხაზი გაუსვა იმ გარემობას, რომ რაც უნდა აბსტრაქტულად ჟღერდეს ეროვნული ხასიათის როგორც მოცემულობის საკითხი, ის მაინც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური ევოლუციისათვის.

[10] Gustave le Bon (1898) The psychology of Peoples, New York, The Macmillan Co., p. xix

სოციუმისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედების საკითხი

ეროვნული იდენტობის საკითხის ანალიზისას აუცილებელია იმის გააზრება, რომ ეროვნული ხასიათის გენერირებას სოციუმი ახდენს ისტორიულ პოლიტიკურ კონტექსტში. ალბათ ზოგიერთი შეედავება ამ თეზისს და წამოაყენებს მოსაზრებას, რომ სოციუმი, ეროვნული ხასიათის გენერირების პროცესში, იმყოფება ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ და, მაშასადამე, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები აყალიბებენ სოციუმს და არა - პირიქით. იბადება კითხვა: „ეროვნული ხასიათი აყალიბებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს თუ პირიქით“[11] პოლიტიკური ინსტიტუტები აყალიბებენ ეროვნულ ხასიათს? ეს უდავოდ ის შეკითხვაა, რომელიც აუცილებლად უნდა დაისვას და პასუხიც გაეცეს. აშკარაა, რომ სოციუმი აყალიბებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, მაგრამ ამ სისტემებსაც აქვთ თავიანთი უკუქცევითი ძალა და ამ უკუგებით, თავის მხრივ, ზემოქმედებენ სოციუმზე, ამ შემთხვევაში საკითხავია, სოციუმს წარმართავენ, თუ თავად სოციუმი წარმართავს და კარნახობს თამაშის წესებს.

უფრო ნათელი, რომ გახდეს „უკუქცევითი ძალის ფენომენი“, განვიხილოთ იგი მარტივი მაგალითის საფუძველზე. დავუშვათ, სოციუმი მივიდა დასკვნამდე, რომ სჭირდება ესა თუ ის კანონი და, ამის შესახებ ამცნო პოლიტიკურ სისტემას, რომელმაც შეასრულა სოციუმის დაკვეთა და დააკანონა რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი ნორმა. ამ შემთხვევაში სოციუმმა მოახდინა ზეგავლენა პოლიტიკურ სისტემაზე, ერთი შეხედვით, აქ უნდა დასრულდეს ყველაფერი, მაგრამ მიღებული კანონი იწყებს მოქმედებას სოციუმში, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს სოციუმზე და მაშასადამე აქტიურ მონაწილეობას იღებს მის სამომავლო ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. გამოდის, საქმე გვაქვს ორმხრივი ზეგავლენის მოვლენასთან, რომელშიც ერთი სუბიექტის აქტივობა განაპირობებს ზეგავლენას ორივე სუბიექტზე. აქ კი იბადება კითხვა, თუ ორივე სუბიექტი ახდენს ზეგავლენას პროცესზე, რომელი სუბიეტის ზეგავლენა შეიძლება ჩაითვალოს უფრო ფუნდამენტურ და განგრძობითად საკუთარი სტრუქტურისა და შინაარსიდან გამომდინარე? ჩვენ შემთხვევაში ჯეიმს ჩარლსვორტი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, საკმაოდ მარტივად პასუხობს დასმულ შეკითხვას საკუთარ პუბლიკაციაში - „ჩვენ, ყველანი, რაღა თქმა უნდა, ვაღიარებთ, რომ მოვლენები ექცევიან იმის ზეგავლენის ქვეშ, რაზეც ახდენენ ზეგავლენას, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ უფრო ადვილია შეცვალო მთავრობა, ვიდრე გარდაქმნა ერი“.[12] ამასთან ერთად ისტორიამ კარგად გვასწავლა, რომ პოლიტიკური სისტემა და რეჟიმი, რომელიც საკუთარ თავში ვერ ასახავს იმ ხალხის იდენტობას, რომელზეც ახორციელებს ძალაუფლებას, განწირულია ისტორიის სანაგვეზე გადასაგდებად. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ავტორი ემხრობა იმ მოსაზრობას, რომ ერი თავისი სოციუმითა და ეროვნული ხასიათით უფრო მყარი მუდმივაა, ვიდრე პოლიტიკური სისტემა, მაშასადამე, გაზისად პირველი უნდა იქნას აღებული, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ პოლიტიკური სისტემის უკუქცევითი ძალა, რომელიც უდავოდ ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

სოციუმსა და პოლიტიკურ სისტემას შორის ურთიერთქმედება საუკეთესოდ აისახება ამ ურთიერთქმედების შედეგად გენერირებული მოვლენების ანალიზისას. აქედან გამომდინარე

[11] James C. Charlesworth, National Character in the Perspective of Political Science, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 23-29, [გვ.: 25].
[12] Charlesworth, გვ.: 25

განვიხილავთ რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითს, რომლის შემდეგაც აშკარა გახდება სოციუმის ძლიერი ზეგავლენა პოლიტიკურ სისტემაზე. უნგრელი იურისტი, პოლიტოლოგი და კონსტიტუციონალიზმის სპეციალისტი ანდრაშ შაიო თავის (მცირე ზომის, მაგრამ ფუნდამენტურ) ნაშრომში - „ძალაუფლების თვითშეზღუდვა“ შესანიშნავად აღწერს სოციუმსა და პოლიტიკურ სისტემას შორის არსებული ურთიერთქმედებების შედეგებს. შაიოს აზრით, სახელმწიფოს კონსტიტუციებში საუკეთესოდ გამოსჭვივის ე.წ. „ეროვნული შიშები“. თავად სახელმწიფოსა და შემდეგ უკვე კონსტიტუციების შექმნაც ხომ სწორად შიშმა განაპირობა. შიშმა ანარქიისა და განუკითხაობის წინაშე. კაცობრიობამ ჩამოაყალიბა ქცევის სავალდებულო ძირითადი ნორმები და კაცთა თანაარსებობის აუცილებელი პრინციპები. თავად კონსტიტუციაც არაფერია, თუ არა კაცობრიობის მასობრივი შიშის გამოძახილი. თუ ზოგადად კონსტიტუცია წარმოადგენს კაცობრიობის შიშისგან ნაწარმოებ მოვლენას, მაშინ, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კონკრეტული ერის კონსტიტუციაში ასახული იქნება როგორც ზოგადსაკაცობრიო შიშები, ასევე იმ კონკრეტული ერის შიშები, რომლებსაც ეკუთვნის ეს თუ ის კონსტიტუცია. მოყვანილი ლოგიკური ხაზის თვალსაჩინო მაგალითია ბულგარეთი, სადაც შიშმა თურქული ნაციონალური უმცირესობის წინაშე განაპირობა ის, რომ კონსტიტუციით პირდაპირ აიკრძალა პოლიტიკური პარტიის შექმნა ნაციონალურ ნიადაგზე.[13] ეს მაგალითი ტიპური გამოხატულებაა ეროვნული შიშისა, რომელიც ბულგარეთში არსებობდა და შეიძლება ახლაც არსებობს. ეს მაგალითი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია პოლიტიკური პარტიების შექმნა რეგიონული პრინციპით. ამ სამართლებრივ ნორმაში აშკარად გამოსჭვივის ქვეყანაში მომხდარი კონფლიქტების ფაქტორი, რომელთა შემდეგ სახელმწიფოში დაისადგურა სეცესიის შიშმა, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ ფართო და პირდაპირი გამოძახილი ჰპოვა ქართულ კანონმდებლობაში, არაორაზროვანი იმპერატიული ნორმის სახით.[14]

შაიო თავის ნაშრომში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციები, რომლებიც დიდი ხნის ერთაპრტიული ან ავტორიტარული მმართველობის შემდეგ მიიღეს, „პირდაპირ გაძეძგილია“[15] ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმებით. შიში ძველი ტირანიის დაბრუნების წინაშე იმდენად დიდია, რომ კონსტიტუციის შემოქმედები საზოგადოების დაკვეთით, ყველა ძალას ხმარობენ ერთპარტიული სისტემის და ავტორიტარული რეჟიმების ხელისუფლებაში ხელახლა მოსვლის ალბათობის აღმოსაფხვრელად. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით დამახასიათებელია საბჭოთა ბლოკის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. ხშირად კონსტიტუციის შემოქმედთა ძალისხმევა იმდენად დიდია, რომ ქვეყანა იღებს პროცედურული ნორმებით გადატვირთულ სამართლებრივ სისტემას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სისტემის ეფექტურობაზე. „...ასე 1989 წლამდე უნგრეთის პარლამენტი, პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებდა“.[16] ვფიქრობ, საქართველოშიც არსებობს ასეთი პრეცენდენტის ჩამოყალიბების საშიშროება, დღეს საქართველოში არსებული შიში ერთპარტიული სისტემისა და პრეზიდენტის, როგორც ლიდერის ინსტიტუტის მიმართ იმდენად ძლიერია, რომ მომავალი საპარლამენტო რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო შეძლება იქცეს დისკუსიების მდიდრულ კლუბად, რომელიც მოკლებული იქნება შესაძლებლობას აქტიურად და ეფექტურად განახორციელოს საკუთარი პოლიტიკა. საქმე ის გახლავთ, რომ თუკი ზემოთ აღნიშნული მოვლენა მაინც მოხდება, ეს ისევ ქართულ სოციუმში გამეფებული შიშების შედეგი იქნება.

---

[13] А. Шайо, Самоограничение власти, Москва изд. “юрист”, 1999г., გვ.: 15

[14] 31 ოქტომბერი, 1997 წ. “საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” მუხლი მე-6, *ვებ წყარო:* http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=119

[15] Шайо, გვ.: 16

[16] Шайо, გვ.: 15

„კონსტიტუციონალიზმი, როგორც ბევრი აღნიშნავდა, დაწყებული მონტესკიედან დამთავრებული ტოკვილით, თავის თავში მოიცავს ფუნქციურ ელემენტებს, რომლებიც ცილდება სამართლის ფარგლებს. სამართალი ვერ შეცვლის მორალს, წეს-ჩვეულებებს და საღ გონებას[17] [...] კანონშემოქმედი ჰგავს კაპიტანს, რომელიც ზღვის გადაკვეთას ცდილობს. მას შეუძლია მართოს თავისი გემი, მაგრამ ვერ შეცვლის მის კონსტრუქციას, ვერ გამოიწვევს ქარს და ვერ აუკრძალავს ოკეანეს ააზვირთოს ტალღა [...] ყველა ზემოთ აღნიშნულ ელემენტს შეიძლება ეწოდოს ეროვნული, ნაციონალური სული, სამართლიანობა ან ტრაადიცია და ადათ-წესი, თუმცა აშკარაა, რომ ამათ გარეშე კონსტიტუცია უბრალოდ მკვდარ ასოდ რჩება".[18]

პოლიტიკური სისტემისა და ეროვნული იდენტობის სიმბიოზური ურთიერთქმედება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფოებრივი სისტემის მდგრადობას. შეუძლებელია ქვეყანაში ხდებოდეს საზოგადოებრივი ინსტიტუტების და ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირება, როდესაც არ არსებობს ყველასათვის დადგენილი თამაშის საერთო წესები, თამაშის წესებს კი ფორმალურად ადგენს პოლიტიკური სისტემა, ამასთან ერთად ამ წესებს უნდა იზიარებდეს სოციუმის უდიდესი ნაწილი, რაც, თავის მხრივ, აყალიბებს სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირების წინაპირობას. რაც შეეხება შიშებს, დამეთანხმებით, რომ ე.წ. შიშები და ღირებულებები (რომლებზეც მომდევნო თავებში ვისაუბრებთ) არის სწორედ ის ქვაკუთხედი, რომელიც განსაზღვრავს ხასიათს, როგორც პიროვნულს ასევე ეროვნულს. მაშასადამე, ეროვნული შიშები და ღირებულებები გარკვეულწილად არის კიდეც ეროვნული ხასიათი. თუმცა ხასიათი, და, მითუმეტეს ეროვნული, საკუთარი შინარსიდან და ფსიქოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე, უაღრესად მრავალმხრივი საკითხია. ჩვენ კი ზემოაღნიშნული ხასიათი უნდა მოვაქციოთ ისეთ სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიის ფარგლებში, რომელიც, ერთი მხრივ, იქნება გაზომვადი და, მეორე მხრივ, სრულად ასახავს იმ საკვანძო საკითხებს, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს. ეს ერთი შეხედვით სტატისტიკისა და სოციოლოგიური კვლევის პირველად და პრაქტიკაში ხშირად გატარებულ საკითხად შეიძლება წარმოჩინდეს. თუმცა, საერთოდაც საკითხავია, როგორ უნდა აისახოს სოციუმისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთობა ციფრებში?

მეთოდოლოგიური საკითხის ანალიზი

ზემოთ ვისაუბრეთ, თუ რა წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული ეროვნული ხასიათის შესწავლის საკითხი, ამასთან ერთად რაიმე მოსაზრება, მითუმეტეს, მოსაზრება ვინმეს ან რამეს ხასიათის შესახებ უმეტესწილად სუბიექტურობით არის გაჟღენთილი. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, შევეცდებით აღმოვფხვრათ სუბიექტური ფაქტორი და მოსაზრებები დავამყაროთ ისეთ ემპირიულ მასალაზე რომელიც, ვფიქრობ, ეჭვგარეშეა. ერთი სიტყვით, ამ თავში ჩვენ შევეცდებით მოვახდინოთ ეროვნული იდენტობის/ხასიათის კვლევის მეთოდოლოგის ფორმულირება, მომდევნო თავში კი მისი განხილვა საქართველოს მაგალითზე.

[17] აქ "სამართალ"- ში იგულისხმება სამართლებრივი და იურიდიულ ასპექტი.
[18] Шайо, გვ.: 21

ქართული ეროვნული იდენტობის საკითხი საკმაოდ დიდი მსჯელობის საგანი გახდა ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან მოყოლებული და განსაკუთრებით გაცხარდა 1991-1992 წლებში. მას შემდეგ მომდევწლებშიც საკმაოდ ბევრი პუბლიკაცია, ნაშრომი და სოციოლოგიური კვლევა მიეძღვნა ამ თემას. ხშირად ქართველი ინტელიგენციის, სოციალური მეცნიერებების თუ სხვა სფეროს წარმომადგენლები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ქართულ ეროვნულ ხასიათს. თუ გადავხედავთ 1989 წლიდან მოყოლებულ პუბლიცისტიკურ ნაშრომებს აშკარა გახდება, რომ პუბლიცისტების საკმაოდ დიდი ნაწილი ქართულ იდენტობას წარმოაჩენს როგორც აბსოლუტურად არაშეთავსებად მოვლენას თანამდროვე დემოკრატიასა და ლიბერალიზმთან.[19] ქართველ საზოგადოებაში უამრავი სტერეოტიპია გამეფებული ქართულ ეროვნულ ხასიათთან და ე.წ. ქართველობასთან დაკავშირებით, თავად პუბლიკაციებიც კი, რომლებიც დღემდე გამოიცა ქართულ პრესაში, საკმაო სუბიექტურობით ხასიათდება, აქედან გამომდინარე ჩვენ მაქსიმალურად თავი ავარიდეთ სუბიექტურ მასალას, რადგან აპრიორშივე სუბიექტურობით გაჟღენთილი მასალის გამოყენება გამოიწვევს ცდომილების გეომეტრიული პროგრესიით ზრდას. აქედან გამომდინარე გადაწყდა, თავი აგვერიდებინა პრესის მიმოხილვისგან და მსჯელობა დაგვემყარებინა უფრო ემპირიულ მასალაზე, სოციოლოგიურ კვლევებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებზე. მსჯელობის ადეკვატურობისთვის აუცილებელი იყო სათანადოდ დაგვებალანსებინა ის მასალა, რომელზე დაყრდნობასაც ვაპირებდით ანალიზის წარმოებას. ბალანსში ვგულისხმობ ქართული და უცხოური მონაცემებისა და მეთოდოლოგიის ურთიერთქმედებას. ეს, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მნიშვნელოვანი დეტალი საკუთარ თავში საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ატარებს. რადგან, ერთი მხრივ, არის ეროვნული ხასიათის ის ასპექტები, რომლებიც შეიძლება ასახული იქნეს მხოლოდ ქართული აზროვნების ფარგლებში, მეორე მხრივ, კი არის უცხოელი მკვლევარების მიერ ჩამოყალიბებული მიდგომები, მეთოდოლოგია და მონაცემები, რომლებიც უფრო მიუკერძოებელია თავისი მიდგომებიდან გამომდინარე. ალბათ დამეთანხმებით, რომ ქართულ რეალობაში „გამოზრდილი“ ფსიქოლოგი ბევრ ისეთს აღიქვამს, რაც უცხოელი მკვლევარის თვალს შეიძლება, უბრალოდ, გამორჩეს, მეორე მხრივ კი, უცხოელი მკვლევარი უფრო ცივსისხლიანი და მეთოდური იქნება საკუთარ დასკვნებში. თუმცა ორივე მათგანისგან, უდავოდ, ბევრი რამის სწავლა შეიძლება,

ლაზერსფილდისა და მენზელის ანალიტიკური პარადიგმა

CONCEPTS OF NATIONAL CHARACTER

Collective properties	Concepts		Major variables	Central focus	Methods of measurement
Analytic	"Modal personality"	"Core personality"	Traits, motives Personality types	Personality	Free interview Questionnaire Tests of specific personality traits Projective techniques Analysis of personal documents
		"Social personality"	Attitudes Values Beliefs		
Structural	"Basic personality type" or "Social character"		Ideal personality types (inferred) "Well-adjusted" personalities	Culture-in-personality	Observation of behavior in a normal setting Factual interview Analysis of rituals and customs
Global	"Mentality expressed in cultural products"	Language Literature Art Philosophy Political documents	Attitudes Beliefs Values Styles of thought	Culture	Aggregate statistics Analysis of collective documents Linguistic analysis Analysis of cultural thought systems Analysis of institutions
	"National syntality"		National behavioral traits		

სურათი #1

წყარო: Kenneth W. Terhune, (1970) From National Character to National Behavior: A Reformulation

[19] ქართული ხასიათის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოოგიის ინსტიტუტი, 1998წ.

აქედან გამომდინარე, ანალიზთა კომბინირება და შერწყმა უფრო სრულფასოვან სურათს მოგვცემს.

აშკარაა, რომ ეროვნული ხასიათი წარმოადგენს მრავალმხრივ მოვლენას რომელიც საკმაოდ რთულია მოაქციო ემპირიული კვლევის განზომილებაში. ამ პრობლემის გადასაჭრელად დავიხმარეთ, ავსტრიული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის **პოლ ფ. ლაზერსფილდისა** და მისი თანაავტორის **მენზელის** [Lazarsfield and Menzel] ანალიტიკური პარადიგმა,[20] რომელიც ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიურ კველევებში. **ლაზერსფილდისა და მენზელის** მიერ წარმოდგენილი ეს სისტემა (იხ. სურ.: 1) აყალიბებს სტრუქტურირებულ მიდგომას ეროვნული ხაასიათის კვლევის საკითხის მიმართ და საშუალებას გვაძლევს, ზუსტი მეცნიერული მეთოდით „გავზომოთ" ქართველთა ფსიქიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეროვნული ხასიათი უაღრესად ამორფული მოვლენაა, მოყვანილი პარადიგმა დიდ სამსახურს გაგვიწევს. **ლაზერსფილდისა და მენზელის** პარადიგმას თუ დავეყრდნობით (იხ. სურ.: 1) ეროვნული ხასიათის კონცეფცია, ანალიზისათვის, დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად:

1. **ანალიტიკური** ნიშან-თვისებები [Analytic Properties]
2. **სტრუქტურული** ნიშან-თვისებები [Structural Properties]
3. **გლობალური** ნიშან-თვისებები [Global Properties]

ანალიტიკური ნიშან-თვისებები [Analytic Properties], ეკუთვნის ნიშან-თვისებათა იმ კატეგორიას, რომლებიც გამოითვლება მათემატიკური ან სტატისტიკური ოპერაციების შედეგად, რომლებიც ხორციელდება ერთი რომელიმე წევრის ნიშან-თვისებებზე. ანალიტიკურ ნიშან-თვისებებს მოსახლეობის ცვლადებსაც უწოდებენ. აქ, ძირითადად, საუბარია ცალკეული პიროვნების მისწრაფებებზე, ღირებულებებსა და რწმენაზე, ყველაფერ იმაზე, რაც შეიძლება ახასიათებდეს ერთ კონკრეტულ პიროვნებას (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით მოგვიანებით განვიხილავთ). **სტრუქტურული** ნიშან-თვისებები [Structural Properties], წარმოადგენენენ იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც ყალიბდება სოციუმში სოციუმის წევრებს შორის ურთიერთობისას. სტრუქტურულ ნიშან-თვისებებში ასევე შედის. საშუალო ადამიანის კონცეფცია, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც ვებერისეული იდეალური ტიპის [Ideal Type] კონცეფცია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სტრუქტურული ბლოკი მიზნად ისახავს საშუალო ადამიანის დახატვას ეროვნული ხასიათის კონტექსტში. **გლობალური** ნიშან-თვისებები წარმოადგენენ ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც სოციუმის ერთ რომელიმე წევრთან კი არაა დაკავშირებული, არამედ არის ნაწარმოები საერთო ეროვნულ ფორმატში. ეს შეიძლება იყოს ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები მაგ. „ვეფხისტყაოსანი" ან ქვეყანაში გამეფებული ლოზუნგები, ე.წ. „ნაციონალური კრედო", სასკოლო სახელმძღვანელოები და თუნდაც ჟურნალი „ცხელი შოკოლადი", რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ჟურნალია საქართველოში. გლობალური ნიშან-თვისებების აღწერისას ყველაზე ხშირად ახდენენ ისეთი ცვლადის თვისობრივ ანალიზს, როგორიც არის **მენტალური ნაციონალური პროდუქტი** (შემდგომში **მნპ**) [Mental National Product - MNP] ანუ ნაციონალური მენტალიტეტის/აზროვნების შედეგად მიღებული არტიფაქტი.

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ანალიტიკური ნიშან-თვისებების ერთობლიობაა. თუ რატომ, ამაში თანდათან გავერკვევით სქემის **ანალიტიკური ბლოკის** განხილვისას. ანალიტიკური ნიშან-თვისებების ერთობლიობა, რომელსაც მეორენაირად მოდალურ პიროვნებასაც [Modal Personality] უწოდებენ, საკუთარ თავში მოიცავს ორ ძირითად კონცეფციას: ძირეულ პიროვნებასა [Core Personality] და სოციალურ პიროვნებას [Social Personality]. ჩვენს ძირითად ინტერესს წარმოადგენს ე.წ.

[20] Kenneth W. Terhune, From National Character to National Behavior: A Reformulation, *The Journal of Conflict Resolution*, Vol. 14, No. 2. (Jun., 1970), pp. 203-263, [გვ.: 210]

სოციალური პიროვნება, რომელიც რამდენიმე ცვლადზე მანიპულაციის შედეგად იზომება. ეს ცვლადებია: დამოკიდებულებები [Attitudes], ღირებულებები [Values] და რწმენები [Beliefs]. რატომ ვაკეთებთ აქცენტს მაინცა და მაინც სოციალური პიროვნების [Social Personality] კონცეფციაზე? უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ სქემის დარჩენილი ორი ბლოკი - **სტრუქტურული** და **გლობალური,** ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო გასაგებად გავცეთ პასუხი ზემოაღნიშნულ შეკითხვას.

გლობალური ბლოკი მიზნად ისახავს ერის მიერ წარმოებული ისეთი არტიფაქტების თვისობრივ ანალიზს, როგორებიცაა ლიტერატურა, ხელოვნება, არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება და ა.შ. რაც უდავოდ მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ რამდენად არის კავშირში მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ თანამედროვე სოციუმთან, ან რა ზეგავლენას ახდენს 12-ე საუკუნეში დაწერილი ეს ნაწარმოები თანამედროვე სოციუმზე, ამის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ ნაწარმოების ლიტერატურული სტილი, განვსაზღვროთ ის, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნის, განვიხილოთ ნაწარმოების უნიკალური სინტაქსური და მორფოლოგიური სტილი, მაგრამ ეს ყველაფერი არ მოგვცემს საშუალებას, გავაკეთოთ რამე კონკრეტული დასკვნა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად მნპ-ს განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი, ფაქტორი - მნპ-ს გაფანტულობა დროში. აქ იგულისხმება ის, რომ ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ ისევე მიიჩნევა მენტალურ ნაციონალურ პროდუქტად, როგორც „ვეფხისტყაოსანი.“ ერთი თანამედროვე მენტალობის პროდუქტია, მეორე კი - ისტორიულის. როგორ განვსაზღვროთ (ემპირიულად), რომელი უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ნაციონალური ხასიათზე? გარდა ამისა, საინტერესო მდგომარეობა გვაქვს დროის ფაქტორის თვალსაზრისით, აქ იგულისხმება ის ფაქტორი, რომ თანამედროვე მნპ-ს მიერ განხორციელებულმა ზეგავლენამ შეიძლება თავი იჩინოს არა მყისიერად, არამედ 30 ან 40 წლის შემდეგ. მაგალითისთვის ავიღოთ სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელიც ასევე მენტალური ნაციონალური პროდუქტია. თუკი მოსწავლე შეისწავლის ნებისმიერ საკითხს და ჩამოუყალიბდება რამე ფორმის მოსაზრება, ღირებულება ან უარყოფითი დამოკიდებულება შესწავლილი საკითხის მიმართ, მისი ეს დამოკიდებულება ასახვას ჰპოვებს ეროვნული ხასიათის კონტექსტში მხოლოდ მომავალში, ანუ მაშინ, როცა ის გახდება სოციუმის სრულუფლებიანი წევრი და შეიძენს გარკვეულ ზეგავლენას სოციუმში მიმდინარე პროცესებზე. „მაკლელანდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ საბავშვო წიგნებში მოტივაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის თაობაზე დაადასტურა, რომ წიგნების შინაარსი გამოძახილს ჰპოვებდა საშუალოდ 25 წლის შემდეგ“.[21] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნპ-ს ზეგავლენის შეფასება სოციუმზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ვფიქრობ, სქემის გლობალურ ბლოკთან და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლადთან, მნპ-სთან, დაკავშირებული პრობლემები გასაგებია, მაგრამ საკითხი აქ არ მთავრდება. ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერ ვზომავთ მნპ-ს ზეგავლენას სოციუმზე არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარვყოფთ ამ ზეგავლენას. ვფიქრობ, უდავოა, რომ ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები ზეგავლენას ახდენენ ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. რაც უნდა რთული და გადაუჭრელი ჩანდეს მენტალურ ნაციონალურ პროდუქტთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული პრობლემები, მათი გადაჭრა მაინც უაღრესად მარტივია, თუ რეგრესული ანალიზით მივუდგებით საკითხს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისვას შეკითხვა - რაზე ახდენს ზეგავლენას მენტალური ნაციონალური პროდუქტი? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პასუხი გასაგები და უდავოა. მაგალითისთვის „ვეფხისტყაოსანი“, ანუ იგივე მენტალური ნაციონალური პროდუქტი, ზეგავლენას ახდენს დამოკიდებულებებზე [Attitudes], ღირებულებებსა [Values] და რწმენებზე [Beliefs]. ნებისმიერი კულტურის, როგორც ძველის, ასევე თანამედროვეს, ძირითად ამოცანს წარმოადგენს გარკვეულ ღირებულებათა სისტემის ფორმირება, ამოცანა, რომც არ არსებობდეს ეს

[21] Terhune, გვ.: 226

თავისთავად ხდება. „ვეფხისტყაოსანი," სვეტიცხოველი, თანამდროვე ქართული მხატვრობა და ჟურნალი „ცხელი შოკოლადი" და „სარკე" ერთად აყალიბებენ ღირებულებათა გარკვეულ სისტემას. ისტორიულ- კულტურული მემკვიდრეობა წარსულიდან, თანამედროვე კულტურა კი თანამედროვეობიდან გამომდინარე, თავისებურად ზემოქმედებენ სოციუმზე. ეს ორი (ძველი და ახალი კულტურები) ცალ-ცალკე, ხანდახან სიმბიოზური და ხანდახან ურთიერთკონფლიქტის შედეგად, აყალიბებენ გარკვეულ ღირებულებათა პაკეტს. სწორად ამ ღირებულებათა სისტემაში იმალება პასუხი ჩვენს შეკითხვაზე; საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ თუ არ შეგვიძლია გავზომოთ ცალკე განყენებული მნპ-ს კონკრეტული ეფექტი (იმ პრობლემების გამო რომელიც ზემოთ მოგახსენეთ), შეგვიძლია, გავზომოთ ის, რაც ამჟამად გვაქვს და ცვლადად გამოვიყენეთ ქართული ღირებულებები, ანუ ის მოცემულობები ღირებულებების სახით, რომლებიც ჩამოყალიბდა მნპ-ს ფუნქციონირებისა და მისი საზოგადოებაზე ზეგავლენის შედეგად და, რომლებიც ამ უკანასკნელის (მნპ-ს) პირდაპირი გამოვლინებაა. ინდივიდუალური ლიტერატურული ნაწარმოების ზეგავლენაზე ქართულ იდენტობასთან მიმართებაში, ან ჟურნალ „ცხელი შოკოლადის" უარყოფით ზეგავლენაზე მსჯელობანი მივანდოთ ფსიქოლოგებსა და მორალისტებს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მოვახდინოთ ძველი თუ თანამედროვე კულტურის ზეგავლენის შედეგად მიღებული და ამჟამად არსებული ღირებულებების აღწერა, საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიით. რაც შეეხება სქემის კიდევ ერთ, **სტრუქტურული** ნიშან-თვისებების [Structural Properties] ბლოკს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ამ ბლოკის შესწავლის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომლებიც ყალიბდება სოციუმში სოციუმის წევრებს შორის ურთიერთობისას. სტრუქტურულ ნიშან-თვისებებში ასევე შედის - საშუალო ადამიანის კონცეფცია, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც ვებერისეული იდეალური ტიპის [Ideal Type] კონცეფცია. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ღირებულებებთან, რადგან ადამიანები ურთიერთობენ და მოქმედებენ საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე (რა თქმა უნდა იდეალურ, განყენებულ შემთხვევაში). ღირებულებებათა სისტემა წარმოადგენს პიროვნების ქვაკუთხედს, აქედან გამომდინარე, ეროვნული ხასიათი საკუთარ თავში აერთიანებს იმ ღირებულებათა სისტემას, რომელსაც იზიარებს ამ თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. ვფიქრობ, მეტნაკლებად გასაგებია ღირებულებათა მნიშვნელობა ეროვნული ხასიათის საკითხთან მიმართებაში, მაგრამ ამასთან ერთად თემის უფრო ღრმა გაცნობიერებისთვის, მნიშვნელოვანია მკითხველმა გაიაზროს, თუ საერთოდ რა არის ღირებულება.

60-იანი წლების ბოლოს ამ ცნების 180 განსხვავებულ განსაზღვრებას ითვლიდნენ. მაგრამ ამ განსხვავებულ განსაზღვრებებს აქვს საერთო საფუძველი, რომლის ფორმულირებაც, საკმოად მარტივად და თვალსაჩინოდ, ამერიკელმა მკვლევარმა კლაიდ კლუკჰონმა მოახერხა (ეს განსაზღვრება სათავეს ჯონ დიუის ნაშრომებში იღებს): „ღირებულება არის წარმოდგენა (a conception) სასურველის (the desirable) შესახებ, რომელიც ახასიათებს ინდივიდს ან ჯგუფს და, რომელიც გავლენას ახდენს მოქმედების სახეების, საშუალებებისა და მიზნების არჩევანზე".[22] ვფიქრობ, ღირებულების განმარტება გასაგებია, ამასთან ერთად ღირებულებათა ამსახველი ცვლადები წარმოადგენენ იმ ცვლადებს, რომელთაც ძალუძთ ასახონ მოსახლეობის ფაქტობრივი ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, ეს კი უმნიშვნელოვანესია თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რაოდენ არასტრუქტურირებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. „...მხოლოდ ის კომპონენტები, რომლებსაც შეუძლიათ ასახონ მოსახლეობის ფაქტობრივი ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, შეიძლება გამოყენებულნი იქნენ ეროვნული ხასიათის გამოსათვლელად. მნპ-ს კონცეფცია ურაყოფილი იქნა, როგორც ეროვნული ხასიათის ანალიზისათვის გამოსადეგარი კონცეფცია, თუმცა განიხილება, როგორც კულტურასა და

[22] C. Kluckhohn, "Values and value-orientations in the theory of action. An exploration in definition and classification", in: T. Parsons, E. A. Shils (Ed.), *Toward a General Theory of Action*, Harvard 1951, გვ.: 395.

ეროვნული ხასიათთან კორელაციაში მყოფი ფაქტორი“[23] ვფიქრობ, გასაგებია ის, თუ რატომ შეაჩერეს დასავლელმა სოციოლოგიურ მეცნიერებათა მესვეურებმა არჩევანი ღირებულებებზე, როგორც ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელ ყველაზე ძლიერ ფაქტორზე.

ღირებულებათა ცვლადებად გარდაქმნამ გადაწყვიტა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, კერძოდ, დროში დენადობის პრობლემა, რადგან „...კვლევებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღირებულებები ეროვნული ხასიათის ყველაზე სტაბილური ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებებია“.[24] ძველი ღირებულებების ახლით შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ თაობათა ცვლის პირობებში; თუ ღირებულებები იცვლება, ეს მანიშნებელია იმისა, რომ წინა თაობის წარმომადგენელთა რაოდენობა მცირდება და მას ანაცვლებს ახალი თაობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ახალი თაობის საკმაოდ დიდი ნაწილიც აღიარებს ძველ ღირებულებებს. ისევე, როგორც სოციალური სტარტიფიკაციის შემთხვევაში, ამ კონკრეტულ მომენტშიც ხდება ღირებულებების გადასვლა ახალ თაობაზე, აქედან გამომდინარე ძველი ღირებულებების საგრძნობლად შესუსტებას რამდენიმე თაობა სჭირდება. მაშასადამე ღირებულებების ცვლადებად განსაზღვრამ საშუალება მოგვცა გადაგვეჭრა ორი ძირითადი საკითხი - იმ ფაქტობრივი ცვლადების საკითხი, რომლებზეც შეიძლება განხორციელდეს სტატისტიკური მანიპულაციები და ეროვნული ხასიათის მდგრადობის, ანუ დროში დენადობის საკითხი.

ქართული ღირებულებები, იდენტობა და პოლიტიკური სისტემა

როგორც აწ გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია მაბობდა: ”იმისათვის, რომ იმას ჩასწვდე და გაიგო, ქართული პოლიტიკა თუ როგორ უნდა იყოს წარმატებული, როგორ უნდა უზრუნველყო ქართული სახელმწიფოს მდგრადობა და მისი წარმატებული განვითარება, აუცილებლად უნდა გქონდეს გონებაში წარმოდგენილი, თუ რა საზოგადოებასთან, რამდენად მრავალფეროვან და ხშირად ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუარებელ წინააღმდეგობით აღსავსე საზოგადოებასთან გვაქვს საქმე”[25] ქართველი საზოგადოების შესწავლა და „გაგება” 2006 წელს სცადეს. ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველომ“ ქართველი საზოგადოების ღირებულებების კვლევა ჩაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ღირებულებათა სტრუქტურირებასა და ანალიზს. პროექტში მონაწილეობდა ფილოსოფოსთა, პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა ჯგუფი. კვლევა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: პირველი ეყრდნობოდა ფოკუს ჯგუფის მიერ შემუშავებულ კითხვარს , ხოლო მეორე, მსოფლიო ღირებულების კვლევის კითხვარების გადამუშავებულ ვერსია.

ამ კვლევებმა, ერთი შეხედვით, პარდოქსული შედეგები აჩვენა. კვლევის ავტორთა აზრით, აღმოჩნდა, რომ საქართველო ერთდროულად განვითარების სამ სტადიაზე იმყოფება - ტრადიციულზე,

[23] Kenneth W. Terhune, From National Character to National Behavior: A Reformulation, *The Journal of Conflict Resolution*, Vol. 14, No. 2. (Jun., 1970), pp. 203-263, [გვ.: 231]
[24] Terhune, გვ.: 238
[25] ზურაბ ჟვანია, ჩვენი თაობის პრივილეგია, გამომც. “კირბი”, 2006წ., გვ.: 138

მოდერნულზე და პოსტმოდერნულზეც კი.[26] კვლევის შედეგების ანალიზით შეგვიძლია, მონაცემთა მოკლე კონსტატაცია მოვახდინოთ. საქართველოს მოქალაქეთა...

1. დიდი ნაწილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია:
   - ოჯახი (91%),
   - სამუშაო (72%),
   - რელიგია (56%),
   - მეგობრები/ნაცნობები(49%),
   - პოლიტიკა (13.5%)
2. 66.6% მიიჩნევს, რომ ტრადიციები უფრო უნდა დავაფასოთ, ვიდრე მაღალი ტექნოლოგიები.
3. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (საშ. 93%) მიიჩნევს, რომ აუცილებელია რელიგიური ცერემონიების ჩატარება მნიშვნელოვან მოვლენებზე (ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება)
4. მოსახლეობის 81% მიიჩნევს, რომ არის რელიგიური.
5. 10 პუნქტიანი სისტემიდან 8.1 პუნქტით აისახა ღმერთის მნიშვნელობა გამოკითხულთა ცხოვრებაში
6. გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ ქართველი საზოგადოება ეტაპობრივი რეფორმებით უნდა გაუმჯობესდეს, 12% მიიჩნევს, რომ ქართველი საზოგადოება მთლიანად შესაცვლელია რადიკალური რევოლუციური ქმედებებით, 19%-მა საერთოდ არ იცის, რა მოუხერხოს ქართველ საზოგადოებას.
7. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ თუ სოციალურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე დიდი ნდობა აქვს ეკლესიას - 54.1%
8. გამოკითხულთა უმრავლესობა პირველ რიგში ამაყობს ეროვნული ტრადიციებითა და ისტორიით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა ასევე კულტურა და ხელოვნება
9. ქართულ სოციუმში საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული მოთხოვნილება ავტორიტარულ ქარიზმატულ ლიდერზე. გამოკითხულთა 42%-ს სურს, რომ ქვეყანას სათავეში ედგას ძლიერი ლიდერი, რომელიც თავს არ და მხოლოდ 36% სურს, რომ ქვეყანაში იყოს დემოკრატიული მმართველობა.
10. მოსახლეობის 93% ძალიან ან საკმაოდ ამაყობს საკუთარი ეროვნებით.

რა უდევს საფუძვლად საქართველოს მოსახლეობის ე.წ. რელიგიურობას? უპირველეს ყოვლისა თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ეკლესიას ქართულ სახელმწიფობრიობაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ეკლესია უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ რელიგიური ინსტიტუტი. საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, ძირითადად, პატარა სამთავროებად დაშლილი ქვეყანა იყო. ხშირ შემთხვევაში, ეს სამთავროები პოლიტიკურად საკმაოდ გათიშულნი იყვნენ ერთმანეთისგან. ენა და რელიგია იყო ის ორი ძლიერი ფაქტორი, რომელიც ამ სამთავროებსერთ სამეფოში გაერთიანებისკენ უბიძგებდა . ეს ორი ფაქტორი დღესაც უაღრესად ძლიერია და, მითუმეტეს, განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა ძველ ისტორიულ ეპოქაში. ამასთან ერთად, ეკლესია ატარებდა არა მხოლოდ სასულიერო ფუნქციას, არამედ მას ებარა ისეთი მნიშვნელოვანი ეროვნული ელემენტის პატრონობის ფუნქცია როგორიც გახლავთ ენა. თუ გადავხედავთ შუა საუკუნეების მწერლობას, ამ ნაშრომთაგან უმეტესობა რელიგიურ თემატიკას ეძღვნება. ეკლესია და მონასტრები, პრაქტიკულად, მთელი ისტორიის განმავლობაში წარმოადგენდნენ მწერალთა და ე.წ. გადამწერთა ცენტრებს, რომელთა ფუნქციაში შედიოდა ქართული ენის განვითარება და, რაც

[26] ე. ჯანაშია (2007) ღირებულებები, რომელსაც არ ვაღიარებთ, გაზეთი *"24 საათი"*, 2007.03.22

მთავარია, გავრცელება. რეალურად ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სრულად განსაზღვრავდა ენობრივ პოლიტიკას ქვეყანაში. ქართული მწერლობის დღემდე შემორჩენილი ყველაზე ძველი ნაშრომები, როგორებიცაა „შუშანიკის წამება“ და „აბო ტფილელის წამება“ მიეკუთვნებიან აპოლოგეტიკური წერილების ჟანრს და ქართული მართმადიდებლური ეკლესიის მაშინდელი მოღვაწეების შექმნილია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს იყალთოს, გრემის აკადემიები და სხვადასხვა სასულიერო/საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც რეალურად ახორციელებდნენ ქართული პოლიტიკური მოძღვრებების ჩამოყალიბებას, განვითარებასა და გავრცელებას.

ეკლესიამ იტვირთა ქართველი ეთნოსისთვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტის „პატრონობა“, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ ეთნოსს დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური სუვერენიტეტი, მოშლილი იყო მისი სამხედრო პოლიტკური სტრუქტურა და ეთნოსის სოციალური ინსტიტუტები, პრაქტიკულად, არ არსებობდნენ, აღმოჩნდება, რომ ქართულმა ეკლესიამ იტვირთა ყველაზე მძიმე ტვირთი, ამ უკნასკნელს უმძიმესი პოლიტიკური ვითარების პირობებში ქართული ეთნოსის იდენტობის შენარჩუნება და მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნების პატრონობა დაევალა. მეორე მხრივ, ქვეყანაში პოლიტიკური სუვერინიტეტის არარსებობამ განაპირობა ის, რომ ვერ განვითარდა ძლიერი საერო საზოგადოების საკანონმდებლო ბაზა, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში, პრაქტიკულად, ვერ ვითარდებოდა სტაბილურ გარემოში კანონმორჩილების კულტურა. თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, ხშირად და ხაზგასმით არის მოხსენიებული საერო და საეკლესიო ხელისუფლების გამიჯვნის ფაქტი, თუნდაც დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მაგრამ ეს მოვლენა (გამიჯვნა), ძირითადად, ხდებოდა მაშინ, როცა მყარდებოდა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტი, და სახელმწიფო იმდენად ძლიერდებოდა, რომ შეეძლო შეესრულებინა სოციუმისთვის აუცილებელი ელემენტარული ფუნქციები, ეს კი იწვევდა ეკლესიის ფუნქციის შესუსტებას.[27] ხშირი იყო პოლიტიკური დაპირისპირებები საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის.[28] ერთი სიტყვით, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ობოლი ბავშვივით უპატრონა ქართულ ეთნოსს თითქმის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. ეკლესია, ნებით ნუ უნებლიედ შეიქმნა ქართველის ეთნოსის ისტორიული გამოცდილების მატარებელ ერთადერთ და ყველაზე გამოცდილ და ძლიერ სოციალურ ინსტიტუტად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია ქართული ეკლესიისა და ქართული ეთნოსის თითქმის აბსოლუტური შერწყმა, ქართული ეთნოსი რეალურად ყალიბდებოდა სწორედ ეკლესიასა და ქართულ სოციუმს შორის არსებულ სიმბიოზში. ეკლესია ატარებდა არა მარტო რელიგიურ ფუნქციებს, არამედ, პრაქტიკულად, ერთადერთი მძლავრი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტი იყო, რომელიც გამართულად ფუნქციონირებდა. სწორად ამან განაპირობა ქართული ეკლესიისა და რწმენის შერწყმა ქართულ ტრადიციებთან და საერთოდ ქართველობასთან, ამგვარი ტიპის ურთიერთქმედება ალბათ ყველა ქვეყანაში არის მეტნაკლებად თუმცა საქართველოში ამან მკვრად უფრო ძლიერი ფორმა მიიღო. დაახლოებით იგივე მდგომარეობა არის ამ მხრივ სომხეთშიც, სადაც ეკლესიის სოციო-პოლიტიკური როლი ისტორიის განმავლობაში კიდევ უფრო მაღალი იყო ვიდრე საქართველოში და, უმეტეს შემთხვევაში, პატრიარქი და ეკლესია ახორციელებდა ძირითად სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნქციებს, რადგან არ არსებობდა სტრუქტურირებული და გამართული პოლიტიკური ხელისუფლება. სწორედ აქედან გამომდინარეობს ქართველთა მიერ რელიგიისა და ტრადიციების გაიგივება, რომელიც ესოდენ აშკარაა ქართველ საზოგადოებაში.

კიდევ ერთი ფაქტორი საბჭოთა სისტემის ნგრევა და საკუთარი დაკარგული წარსულის აღორძინების ცდა გახლდათ. ყოველგვარი ნაციონალიზმი საკუთარი დაკარგული ეროვნულობის განსახიერების ცდას

[27] Ronald Grigor Suny (1994) The making of Georgian nation, 2nd ed, გვ.: 108

[28] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, გამომც. ,,მეცნიერება'', თბილისი 1982წ., ტომი VI, გვ.: 359

წარმოადგენს. ქართველი საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა ტრადიცია, ოჯახი. სხვათა შორის, კითხვაზე - „აღნიშნეთ ქვემოთჩამოთვლილი პუნქტის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი თქვენთვის“[29] - უმრავლესობა უპირატესობას ოჯახს ანიჭებს. ეს ბუნებრივიც არის - სხვას რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა სინამდვილეში ოჯახი ერთადერთი საზოგადოებრივი ინსტიტუცია იყო, რომლის ნდობაც შეიძლებოდა. რაც შეეხება, ტრადიციას - ისიც თვითმყოფადობის ერთადერთი გამოვლენა იყო. ქართველობა, სომხობა ან სხვა, ნიშნავდა არა აწმყოში საკუთარი თავის განხორციელებას, არამედ გადმოცემას - მე ვარ ის, ვინც ჩემი მამა-პაპა იყო. არა მარტო ქართველებისთვის, არამედ, საქართველოში მოსახლე ხალხებისთვის რელიგია წარმოადგენს ტრადიციას და არა რწმენას. ვფიქრობ, მეტნაკლებად გასაგებია ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაავშირებით. დიდი სიამოვნებით კიდევ უფრო ვრცლად ვისაუბრებდით ამ საკითხზე, თუმცა, ჩვენ შემთხვევაში მიზეზების ძიება არ არის კვლევის პირველადი ამოცანა.

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მასალის განხილვის შემდეგ, ვფიქრობ, აშკარაა, რომ ქართველ საზოგადოებაში ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს ტრადიცია, რელიგია და ოჯახი, ყველაზე ავტორიტარულ ინსტიტუტად კი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მიიჩნევა. ამ ფაქტს გარდა ისტორიული კონტექსტისა, აქვს თანამედროვეობიდან გამომდინარე საფუძველიც, დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ყველაზე წარმატებულ სოციო-პოლიტკურ ინსტიტუტად სწორად საქართველოს მართმადიდელური ეკლესია შეიძლება ჩაითვალოს, ის სხვა სოციო-პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, ყველაზე წარმატებულად ახერხებს თავის ინტერესებს გატარებას საზოგადოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ასოცირება რადიკალურ მართმადიდებლურ ორგანიზაციებთან (რომელთა დასახელებისგან თავს შევიკავებ), უბრალოდ, შეცდომაა, რადგან საქართველოს უახლესმა ისტორიამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ საქართველოს საპატრიარქო ქართულ რეალობაში ყველაზე დაბალანსებულ და წარმატებულ პოლიტიკას ახორციელებს. მიუხედავად მისი კლერიკული ანუ იდეალისტური და, მაშასადამე, არარაციონალური ინსტიტუციონალური საწყისისა, იგი სტრატეგიული დაგეგმარების შესანიშნავ მაგალითს აძლევს ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც რაც უნდა სამწუხარო იყოს, საქართველოს მთელი უახლოესი ისტორიის განმავლობაში საკმაო რადიკალურობით გამოირჩეოდნენ. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ღირებულებათა კვლევიდან მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შევეცდებით, მოკლე მონახაზი გავაკეთოთ იმ პრინციპებისა რომლებმაც ქართული რეალობიდან გამომდინარე თეორიაში უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური სისტემის მაქსიმალური მდგრადობა. პოლიტიკური სისტემა საკუთარი შინაარსითა და სტრუქტურით, ერთი მხრივ,



წყარო: ქართველი საზოგადოების ღირებულებების კვლევა, 2006წ.

[29] ე. ჯანაშია (2007) ღირებულებები, რომელსაც არ ვაღიარებთ, გაზეთი *"24 საათი"*, 2007.03.22

უნდა პასუხობდეს კონსტიტუციონალიზმის ძირითად პრინციპებს, მეორე მხრივ კი ეფუძნებოდეს და გამოხატავდეს ქართველი სოციუმის ღირებულებებს, რადგან „კონსტიტუციები და კანონები მუშაობს, როცა საზოგადოება სრულად იზიარებს მათში გაცხადებული დებულებების უკან მდგომ ღირებულებებსა და ფილოსოფიას. სხვაგვარად გაორებულ-თავალთმაქცურ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას ვიღებთ“.[30]

როგორც წერილის დასაწყისში ავღნიშნეთ, 90-იან წლებში საქართველომ უხვად დაიწყო სხვა, კერძოდ, დასავლელი ეთნოსების, მიერ შემუშავებული სისტემების იმპორტი, ნაჩქარევი ტემპებით, რათა შეევსო ის პოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც გაჩნდა ქვეყანაში საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მაგრამ გარდა იმისა, რომ იმპორტირებული პოლიტიკური კულტურა და სისტემები არ იყო ქართულ ისტორიულ, თუ თანამედროვე რეალობაში გენერირებული, არსებობდა კიდევ ერთი უდიდესი პრობლემა, საქართველოს პოლიტიკური სივრცე შეავსო არა ერთი რომელიმე კონკრეტული ეთნოსის პოლიტიკურმა აზრმა, არამედ, რამოდენიმე, სხვადასხვა პოლიტიკურმა სისტემამ, რამაც თავის მხრივ პრობლემები წარმოშვა ქართულ პოლიტიკურ სისტემაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იმპორტირებული პოლიტიკური სისტემები არ იყო გათვლილი ქართველ ეთნოჯგუფზე. ამასთან ერთად ქვეყანამ ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების დეკლარირება მოახდინა და დაიწყო რთული გარდამავალი პერიოდი, რომელსაც მოჰყვა ე. წ. კულტურული დაგვიანების[31] ფენომენი, როცა აუცილებელი გახდა არა მარტო კონკრეტულად პოლიტიკური სისტემისა და კულტურის გენერირება, არამედ ზოგადად ახალი შედარებით ადაპტირებული სოციალური ნორმების გამომუშავება. ეს ის პერიოდია, როცა ძველი ნორმები ვერ აკმაყოფილებენ საზოგადოების პროგრესისთვის არსებულ აუცილებელ მოთხოვნებს ახალი ოპტიმალური ნორმების გენერირება კი ვერ ან ძალზე ნელა ხდება. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებას და სოციო-პოლიტიკურ ინსტიტუტებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ საკუთარი პოლიტიკური სისტემის, იდეის გენერირების პროცესი, უფრო მეტიც, საკუთარ იდენტობაზე დამყარებული პოლიტიკური საზრისების გენერირების საჭიროება ძალიან ვიწრო წრეში თუ არის გააზრებული..[32]

თუ გადავხედავთ მსოფლიოს ქვეყნებს, აშკარა გახდება, რომ ყველა დემოკრატიული ქვეყნის დემოკრატია განსხვავებულია. იაპონური დემოკრატია ისევე განსხვავდება გერმანული ან ფრანგული დემოკრატიისაგან, როგორც ბამბუკისგან მუხის ხე. იმის თქმა გვსურს, რომ თუ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებს დავაკვირდებით დავინაახავთ, რომ ამ ქვეყნებში არსებული დემოკრატიული წეს-წყობილებები განყენებული იდეალური დემოკრატიული მოდელები კი არ გახლავთ, არამედ, საკუთარ თავში მოიცავენ ერის ეროვნულ და კულტურულ იდენტობას და სწორედ აქედან გამომდინარე ქმნიან უნიკალურ, ერთმანეთისგან განსხვავებულ დემოკრატიულ სისტემებს. ყველა სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულმა ეთნოსმა აითვისა დემოკრატია იმ დოზით და იმ ფორმით რამდენის საშუალებაც მისცა მას ამ ერის კულტურამ. იმის თქმა გვსურს, რომ ქართველ ეთნოსს მისი პოლიტიკური თუ სოციალური ინსტიტუტებით საკუთარი, უნიკალური და ყველასგან განსხვავებული დემოკრატია აქვს შესაქმნელი.

---

[30] დ. დარჩიაშვილი, შესავალი ღირებულებათა კვლევისათვის, 2006წ.

[31] Нейл Смелзер (1998) Социология", Москва 1998, ст. 456

[32] З.З. Бахтуридзе (2003) Формирование политической культуры и особенности политического поведения в Грузии, Сборник материалов конференции. Серия “Symposium”, выпуск 29. СПб.: Санкт-Петербургское философское общество, 2003. С. 384-389 *ვებ წყარო:* http://www.anthropology.ru/ru/texts/bahturidze/educinnov_54.html

სურათი #2 წარმოადგენს იმის უხეშ ილუსტრაციას, თუ როგორ ურთიერთობს ქართული სოციუმი და ქართული პოლიტიკური სისტემა. სქემა გახლავთ მარტივი დემოსნტრაცია იმისა, თუ რამხელა სოციალური იმპულსი გადის პოლიტიკური სისტემის გარეთ, ქართული საპატრიარქოს მიმართულებით და, ფაქტობრივად, ტოვებს პოლიტიკური სისტემის საზღვრებს. ქართული ღირებულებების კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართველები ყველაზე მეტად საქართველოს ეკლესიას ენდობიან, ნდობა კი, როგორც მოგეხსენებათ, ის ფაქტორია, რომელიც დიდწილად განაპირობებს მიმართული სოციალურ იმპულსის ხასიათსა და ინტენსივობას. თუ სოციალური ნდობის სტრუქტურას და მიმართულებას გაავანალიზებთ (პარლამენტი: 4,5%; საასმართლო: 7,3%; მთავრობა: 8%) დავინახავთ, რომ სოციალური იმპულსი, რომელიც მიმართულია ხელისუფლების სამივე შტოს მიმართულებით 19,8%-ის ტოლია მაშინ, როცა მართმადიდებლური ეკლესიისკენ მიმართული სოციალური იმპულსი 54%-ს შეადგენს, ეს გახლავთ მარტივი მათემატიკური ახსნა იმისა, თუ რატომ „დარბოდნენ“' ქართველი პოლიტიკოსები ასე აქტიურად საპატრიარქოში 2007 წლის 7 ნოემბრის პერიდში, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის შემდეგ. ვფიქრობ, ამ ილუსტრაციით თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სოციალური იმპულსის 54% ქართული პოლიტიკის მიერ აუთვისებელია და მიმართულია იმ ინსტიტუტისკენ, რომელიც უდავოდ აწარმოებს საკუთარ პოლიტიკას, მაგრამ ამასთან ერთად, სამართლებრივად ქართული პოლიტიკური სისტემის ფარგლებს მიღმა იმყოფება. მიუხედავად საპატრიარქოს როგორც რელიგიურ-სოციალური ინსტიტუტის აპოლიტიკურობისა ეს უკანასკნელი ხშირად ნებით თუ უნებლიედ, იძულებული ხდება ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში, ერთი მხრივ, ქართული პოლიტიკური სისტემის უუნარობიდან გამომდინარე, ეფექტურად გადაჭრას შიდა სოციო-პოლიტიკური კონფლიქტები და, მეორე მხრივ, ქართველი საზოგადოების მაღალი ნდობიდან გამომდინარე, რომელიც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საზოგადოებრივ მოთხოვნას საპატრიარქოს ჩართულობაზე პოლიტიკურ პროცესებში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი, თავის მხრივ, განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ქართული პოლიტიკური პროცესები ხშირად სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, აუცილებელია უნიკალური ქართული დემოკრატიის და პოლიტიკური აზრის გენერირება. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, აშკარაა რომ, პრაქტიკულად, შეუძლებელია რამე სახის პოლიტიკური იდენტობის გენერირება, როცა სოციალური იმპულსის 54% არ არის ჩართული ამ გენერირების პროცესში და იძლევა აშკარა გვერდით ეფექტს, პოლიტიკოსების საპატრიარქოში ხშირი ვიზიტების სახით. მაგრამ საკუთარი უნიკალური დემოკრატიისა და პოლიტიკური აზრის გენერირებისთვის საკმარისი არ არის მარტოოდენ სოციალური იმპულსი, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და ეს გახლავთ ჯანმრთელი, ფუნქციონირებადი სასამართლო და სამართლებრივი სისტემა. სასამართლომ უნდა დაადგინოს ის სამართლებრივი კონტექსტი და ფარგლები, რომელშიც განხორციელდება ზემოაღნიშნული გენერირების პროცესი. სასამართლო ხელისუფლება არის ის ძირითადი ინსტიტუტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს, რა მიმართულებით და როგორ უნდა განვითარდეს ახალი ქართული პოლიტიკა, ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს ძირითადი ჩარჩოები (Framework), რათა კონსერვატიულ ქართულ კულტურასა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის მიღწეული იქნას სასიცოცხლო ბალანსი და ჩამოყალიბდეს ჯანსაღი კონკურენციის გარემო, რომელიც თავის მხრივ, საფუძვლად დაედება პოლიტიკური სისტემის მდგრადობასა და უნიკალური ქართული დემოკრატიის გენერირების პროცესს.

მაშასადამე, გამოიკვეთა ორი ძირითადი კომპონენტი, რომელიც აუცილებელია უნიკალური ქართული დემოკრატიის გამომუშავებისთვის, ეს არის საჭირო მიმართულებით მიმართული სოციალური მუხტი და ჯანსაღი ფუნქციურად გამართული სასამართლო ხელისუფლება. მაგრამ, ვფიქრობ, აშკარაა, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ორი კომპონენტი აბსოლუტურად გათიშულია ერთიმეორისგან, მიზეზი კი

მარტივია - საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ მხოლოდ 7,3%-ა. სირთულე რომელიც პირველ რიგში ჩვენს წინაშე დგება არის ზემოაღნიშნული ორი კომპონენტის - სასამართლოსა და ღირებულებებიდან გამომდინარე სოციალური იმპულსის - ერთმანეთთან სიმბიოზური დაკავშირება. მაშასადამე, საჭიროა გარკვეული იდეოლოგიური და სისტემური კავშირის პოვნა, რათა ეს, ერთი მხრივ, სოციო-პოლიტიკური მოვლენა და, მეორე მხრივ, სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტი ერთმანეთს დაუკავშირდნენ. როგორ უნდა მოხდეს ზემოთ მოყვანილი საკითხის გადაჭრა? გვაქვს ხელისუფლების ერთი შტო - სასამართლო და მძლავრი სოციალური იმპულსი, რომელიც მიმართულია ერთი კონკრეტული ინსტიტუტის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართულებით - 54%, მაშასადამე სოციალური იმპულსისა და სასამართლო ხელისუფლების დაკავშირების გზა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე გადის. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ამ შემთხვევაში შეუძლია იქცეს ზემოაღნიშნული სოციალური მუხტის საუკეთესო გამტარად, მაგრამ დღესდღეობით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სამართლებრივად და ფუნქციურად, პრაქტიკულად, სრულად ამოვარდნილია ქვეყნის იდეოლოგიური კონტექსტიდან. 2002 წელს გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმებამ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რეალურად განაპირობა არა ეკლესიის ჩართულობა სახელმწიფოს საზოგადოებრივ სივრცეში, არამედ - პირიქით, შეიქმნა შთაბეჭდილება , რომ ეკლესიას ხელშეკრულება გაუფორმეს და გვერდზე გასწიეს, როგორც თანამედროვე საზოგადოებისათვის გამოუდეგარი ინსტიტუტი. „სკანდინავიის ქვეყნებში ადამიანების მიერ საპენსიო ფონდში გადახდილი გადასახადის მეათედი ეკლესიაში მიდიოდა. ეკლესიას აქვს სოციალური მსახურების ფუნქცია, ეს ქრისტეს უპირველესი მოძღვრებაა - მშიერთა დაპურება - მაგრამ, საქართველოს ეკლესია არის ღარიბი, მას არ აქვს ამის შესაძლებლობა. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ეკლესიას მხოლოდ რიტუალური ფუნქცია აქვს, ეს არასწორია. სახელმწიფომ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ნდობა, რომელიც ხალხში ეკლესიის მიმართ არსებობს, გამოსაყენებელია და ამიტომ უნდა დაეხმაროს ეკლესიას, რათა ამ უკანასკნელმა, თავისი უპირველესი ფუნქცია - სოციალური მსახურება შეასრულოს“. ამასთან ერთად საზოგადოებაში არის მოთხოვნა ეკლესიის ჩართულობაზე საზოგადოებრივ საქმიანობაში მოსახლეობის უმრავლესობა - 69.6%[33] კი ეთანხმება, რომ ჩვენი საზოგადოება ძირეულად შესაცვლელია. მაგრამ ამასთან ერთად ზემოაღნიშნული ცვლილები მკაცრად სამართლებრივ სისტემის ფარგლებში უნდა განხორციელდეს და დაეყრდნოს კანონის უზენაესობის პრინციპს. ამისათვის კი აუცილებელია ვუზრუნველყოთ სასამართლო სისტემისა და ეროვნული ღირებულებებიდან



სურათი # 3

წყარო: ქართველი საზოგადოების ღირებულებების კვლევა, 2006წ.

[33] ე. ჯანაშია (2007) ღირებულებები, რომელსაც არ ვაღიარებთ, გაზეთი *"24 საათი"*, 2007.03.22

გამომდინარე სოციალური ნდობის სისტემური ურთიერთკავშირი, რათა მივიღოთ დამოუკიდებელი ფუნქციონალურად გამართული და ნდობით არჭურვილი სასამართლო ხელისუფლება. მხოლოდ მაღალი ნდობით არჭურვილ დამოუკიდებელ სასამართლოს ძალუძს ქვეყნისათვის აუცილებელი ფუნდამენტური და სისტემური ცვლილებების განხორციელება ქართველ საზოგადოებაში.

ბევრმა თანამედროვე ევროპულმა სახელმწიფომ კარგად გაიაზრა სასამართლოსთვის იდეოლოგიური და სისტემური გარანტიების აუცილებლობა, ეს განსაკუთრებით აშკარაა, ევროპული კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებში. დღესდღეობით, პრაქტიკულად, ყველა ევროპულ მონარქისტულ სახელმწიფოებში მათ შორის დანიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, ესპანეთში, ჰოლანდიასა და ინგლისში სხვადასხვა დონის მოსამართლეები ფორმალურად ინიშნებიან/მტკიცდებიან თანამდებობებზე მონარქის მიერ. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებში კარგადაა გააზრებული სასამართლოსთვის იდეოლოგიურ და სისტემური გარანტიების აუცილებლობის საკითხი, რომელიც მონარქიული ხელისუფლების სასამართლოსთან სისტემურ იდეოლოგიურ კავშირში გამოიხატება.

აპრობირებული ევროპული მიდგომის ქართულ რეალობაში განხორციელებაც შესაძლებელია. როგორც სურათი #3-ში ჩანს, შემოტანილია კიდევ ერთი ინსტიტუტი სოციო-პოლიტიკურ სისტემაში, მონარქის ინსტიტუტის სახით, რომელიც საკუთარი დატვირთვით წარმოადგენს ქვეყნის იდენტობის სიმბოლოს და არა პოლიტიკურ, არამედ, საერთო ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ჩვენ შემთხვევაში ეს ინსტიტუტი ახორციელებს გარდამავალ ფუნქციას და გამოდის სოციალური მუხტის გამტარის როლში. თუ ეკლესია ასრულებს წმინდა სოციალურ როლს მონარქია წარმოადგენს იმ ინსტიტუტს რომელიც ახორციელებს ეკლესიის მიერ აკუმულირებული სოციალური მუხტის გატარებას პოლიტიკაში. ჩვენს შემთხვევაში მონარქს ექნება მოსამართლეების დანიშვნის/დამტკიცების ფორმალური უფლება შესაბამისი ცერემონიალური დატვირთვით, ხოლო მისი აპოლიტიკურობა საფუძვლად უნდა დაედოს სასამართლოს აპოლიტიკურობის გარანტიას. მონარქიის მჭიდრო კავშირი ქართულ ეკლესიასთან (რომლიც ისტორიულად თითქმის ურყევად არსებობდა ამ ორ ქართულ ინსტიტუტს შორის) განაპირობებს სოციალური მუხტის გადასვლას სასამართლო ხელისუფლებაში, ქართველ საზოგადოებაში გამეფებული ღირებულებები კი, რომლებიც უმეტესწილად განაპირობებენ ქართული მართმადიდებლური ეკლესიის მიმართ ნდობას, სიმბოლურ გამოხატვას ჰპოვებენ სახელმწიფოებრივ სამართალში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ დაახლოებით იგივე სოციო-პოლიტიკური მექანიზმებია დანერგილი ევროპულ მონარქიულ სახელმწიფოებში. უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, ინგლისში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს „მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფალი“. ქვეყანაში, რომელმაც შექმნა ყველაზე დახვეწილი დემოკრატიული სისტემა, სასამართლო სისტემა პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის უმაღლეს მეთაურთან - მონარქთან. მოსამართლეები ინგლისში იღებენ ორი ტიპის - სამართლებრივ და ერთგულების ფიცს, ერთუგელების ფიცი მიმართულია მონარქის, როგორც ერის სიმბოლოს მიმართ და წარმოადგენს იმ იდეოლოგიურ კომპონენტს, რომელზეც ჩვენ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ, სამართლებრივი ფიცი კი თავის მხრივ უზრუნველყოფს იურიდიულ ბაზას. ინგლისის სასამართლო სისტემის მონარქთან უწყვეტ კავშირზე მეტყველებს ინგლისის სასამართლო სისტემაში ისეთი სასამართლოების არსებობას როგორებიცაა „Queen’s Bench“ და „Crown Court“. ამასთან ერთად მონარქი 2005 წელს მიღებული კონსტიტუციური რეფორმის აქტის თანახმად, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების გარდა (რომლებსაც 2005 წლამდეც ნიშნავდა), ნიშნავს სხვა, უფრო დაბალი რანგის

მოსამართლეებსაც.[34] მნიშვნელოვანია, რომ ეს ნორმა 2005 წელს არის მიღებული, აქ ვგულისხმობ იმას, რომ ნორმა, თავის მხრივ, არ წარმოადგენს ისტორიულ გადმონაშთს, ის თანამდროვე დემოკრატიის პირობებში არის მიღებული, მაშასადამე ინგლისელთა აზრით, მოთხოვნა ამ ნორმაზე თანამედროვეობაშიც არსებობს.

ვფიქრობ, ინგლისის მაგალითიდან გამომდინარე გასაგებია სასამართლოს სამართლებრივ-იდეოლოგიური კავშირი სახელმწიფოსა და მონარქთან. საქართველოს შემთხვევაში გასააზრებელია ის მომენტი, რომ სასამართლო სისტემასა და მოსამართლეებს, გარდა სოციალური და სამართლებრივი გარანტიებისა, სჭირდებათ იდეოლოგიური გარანტიებიც. პოლიტიკურ სისტემაში, მონარქის აპოლიტიკურობა და ეკლესიის მიერ აკუმულირებული სოციალური ნდობა უნდა იქცეს იმ მორალურ იდეურ ბაზად, რომელიც დაეხმარება ნებისმიერ მოსამართლეს გამოიტანოს სამართლიანი კანონზე დამყარებული გადაწყვეტილება და შექმნის რეალურ სოციო-პოლიტიკურ გარანტიებს. ამ შემთხვევაში, მოსამრთლე აღარ იქნება მარტო ძლიერი პოლიტიკოსებისა და სხვადასხვა ოლიგარქიული და პოლიტიკური „კლანების“ წინაშე მას ზურგს გაუმაგრებს ორი ყველაზე ძლიერი და მასობრივი ნდობით აღჭურვილი სოციალური ინსტიტუტი ქვეყანაში და, პრაქტიკულად, მთელი ქართველი საზოგადოება. ქართული სოციო-პოლიტიკური სისტემა კი შეიძენს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო - ე.წ. „პოზიტიური ტრანსფორმაციის“ უნარს, ანუ ქვეყნაში არსებული სხვადასხვა სოციალურ და ინტერესთა ჯგუფებსა და ფენებს შორის არსებული და მომავალში წამოჭრადი კონფლიქტების ოპტიმალურ გადაწყვეტის და ამ გადაწყვეტილებების სამართლებრივ პრეცედენტად გარდაქმნის უნარს. ნდობით აღჭურვილი სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტის მიერ რაციონალურ-ოპტიმალურ საწყისებზე გადაჭრილი კონფლიქტების შედეგად მიღებული პრეცედენტების ერთობლიობა კი თავის მხრივ აყალიბებს ფუნქციონირებად პოლიტიკურ კულტურას და უზრუნველყოფს სოციო-პოლიტიკური სისტემის უწყვეტ განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყანაში სოციო-პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას, კანონის უზენაისობასა და უნიკალური ქართული დემოკრატიის გენერირების პროცესს. კანონის უზენაესობა კი უმთავრესია როგორც დემოკრატიის, ასევე ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის - ეკონომიკური პროდუქტიულობა, სამეწარმეო საქმის განვითარება პირდაპირ კავშირშია კანონის უზენაესობის საკითხთან.

ესეს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ჩამოგვეყალიბებინა იმ სისტემის მონახაზი და წარმოგვეჩინა ის ძირითადი პრინციპები, რომელთა ბაზაზეც უნდა განვითარდეს ქართული ეროვნული დემოკრატია, რათა პოლიტიკურმა სისტემამ გამოიჩინოს მაქსიმალური მდგრადობა ქართულ რეალობაში. ამასთან ერთად ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ დემოკრატია და იდეოლოგია თვითაკუმულირებადი და თვითგენერირებადი მოვლენებია, რომლებიც, თავის მხრივ, მოქცეულნი უნდა იქნენ გარკვეულ შემოსაზღვრულ სამართლებრივ პოლიტიკურ სისტემაში, რათა განვითარდნენ. დემოკრატია და იდეოლოგია დამყარებულია გარკვეულ ღირებულებებზე, ზოგადად, დემოკრატია დამყარებულია ზოგადსაკაცობრიობო ღირებულებებზე (რომელთა ჩამოთვლას აღარ დავიწყებთ) იდეოლოგია კი დამყარებულია ეროვნულ ღირებულებებზე, აქედან გამომდინარე ეროვნული დემოკრატიის შექმნა მხოლოდ ამ ორის ჰარმონიული შერწყმით არის შესაძლებელი. როგორც მასიმო დე აძელომ 1861 წელს იტალიის გაერთიანების შემდეგ თქვა: „ჩვენ შევქმენით იტალია, ახლა ისღა დაგვრჩენია შევქმნათ იტალიელები“[35], ჩვენ შემთხვევაში ჩვენ შევქმენით საქართველო და ისღა დაგვრჩენია, შევქმნათ ქართველები. წინამდებარე კვლევაც ემსახურება სწორად იმ მიზანს, რომ გავაანალიზოთ

[34] legislation.gov.uk, Constitutional Reform Act 2005, §14 *ვებ წყარო:* http://www.opsi.gov.uk/acts/acts2005/ukpga_20050004_en_2#pt2-pb6-l1g14

[35] ზურაბ ჟვანია, ჩვენი თაობის პრივილეგია, გამომც. “კირბი”, 2006წ., გვ.: 102

საქართველოს მოქალაქეობისა და საერთოდ ქართველობის ფუნქციონალურობისა და ევოლუციის ოპტიმალური გზები თანამედროვე გლობალურ სამყაროში. საქართველოს ძლიერება განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეებით, რომელთაც ძალუძთ, მართონ საკუთარი სახელმწიფო საკუთარი იდენტობიდან გამომდინარე, რადგან საზოგადოებას, რომელსაც არ შესწევს ძალა მართოს საკუთარი თავი საკუთარი იდენტობიდან გამომდინარე, უბრალოდ, განწირულია დაღუპვისათვის.[36]

[36] ГеоргиЙ Нижарадзе: Мы - Грузины/полемические заметки по поводу некоторых социально-психологических аспектов грузинской культуры, *ვებ წყარო:* http://magazines.russ.ru/druzhba/1999/10/nizhar.html